წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხარკ. ქ. პ. (ბ) ცენტრ. და თბ. კომიტეტების და სახ. კომის ორგანო

ტელეფონები ხარკ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოსი 19—58, მდივ. კანტორის—8—51.

კვირა
18
ივნისი
1933 წ.
№ 139 (3695)

პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის

(რესპუბლიკანური კულტპროპთათბირის გამო)

სოციალისტური მშენებლობის დღევანდელი ეტაპი განსაკუთრებით, სამეურნეო მშენებლობის ახალი ვითარება და კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმები მოითხოვს მთელი პარტიული მასის კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერებას, პარტიის ყველა წევრებისა და კანდიდატების მარქსისტულ - ლენინურ თეორიით უკეთ შეიარაღებას და უპარტიო მუშების და საკოლმეურნეო აქტივის პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებას.

საქართველოს პარტიულშა ორგანიზაციებმა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილების საფუძველზე საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს თავისი რიგების მარქსისტულ - ლენინურ აღზრდის და იდეოლოგიურ ფრონტზე პარტიის გენერალურ ხაზიდან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა პარტგანათლების ქსელში პარტიის წევრების და კანდიდატების ჩაბმა. მაგ.: 1930—31 წელს პარტგანათლების ქსელში ჩაბმული იყო ორგანიზაციის შემადგენლობის 20,5 პროც., 1931—32 წ.—52,7 პროც., 1932—33 წ.—80,7 პროც. შემოდგომა ზამთრის პარტგანათლების ქსელში ჩაბმული იყო პარტწევრების 91,5 პროც. კანდიდატების—69,3 პროც. ამაღლდა გასულ წელთან შედარებით პარტსკოლებისა და წრეების მუშაობის ხარისხი, გაიზარდა პარტიულ მასების და უპარტიო აქტივის ინტერესი პარტსწავლებისადმი და შედარებით გაუმჯობესდა ადგილობრივ პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა პარტიული განათლების ქსელზე.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, პარტიული სწავლების დარგში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს, რომელთა გადაჭრით აღმოფხვრა აუცილებელია მარქსისტულ - ლენინური აღზრდის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და პარტიის გენერალური ხაზისთვის კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით ბრძოლისათვის.

ჩვენს წინაშე პარტგანათლების დარგში უდიდესი ამოცანა დგას. 1933 წლის შემოდგომა - ზამთრის პარტგანათლების ქსელში უნდა გავატაროთ 82 ათას კაცამდე, აქედან მარტო პარტიის წევრები და კახდიდატები შეადგენენ 55 ათასამდე კაცს. ამ მიზნით უნდა დავაარსოთ 4165 სხვადასხვა ტიპის სკოლები, წრეები და კურსები.

ყოველივე ეს გვავალებს გავითვალისწინოთ გასული წლის დეფექტები და მივიღოთ ყველა საჭირო ზომები როგორც საზაფხულო პარტსწავლების, ისევე შემოდგომა-ზამთრის პარტგანათლების ქსელის მუშაობის მაღალ საფეხურზე დასაყენებლად. საჭიროა სკოლებისა და წრეებისათვის სადგომების ეხლავე გამონახვა, მათი მოწყობა და პარტგანათლების ქსელისადმი. მიმაგრება სწავლების მთელ პერიოდში, პარტგანათლების ქსელის დროზე დაკომპლექტება და ქსელის უზრუნველყოფა კვალიფიციური პროპაგანდისტებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით.

სკოლების და წრეების დაკომპლექტების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მსმენელებისადმი **დიფერენცირებულ** მიდგომას. ეს მოითხოვს პარტგანათლების ქსელში ჩასაბმელთა სწორ აღრიცხვას, მათ შესწავლას და მიზანშეწონილ განაწილებას და სხვადასხვა სკოლებისა და წრეების მიხედვით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება **პროპაგანდისტების შერჩევას,** მათი მომზადების შემოწმებას და მათს მუშაობაზე სისტემატიურ კონტროლს ძირეულ პარტორგანოების მხრით.

გასულ წელს, მთელ რიგ რაიონებში (დუშეთი, სიღნაღი, ზესტაფონი, ზუგდიდი, ახალციხე, ქუთაისი, თელავი და სხვ.) ადგილი ჰქონდა სკოლებიდან მსმენელთა ჩამოცილებას 25—49 პროც. ეს აიხსნება სწორედ სკოლების დაკომპლექტებისადმი არასაკმარ ყურადღების მიქცევით, მსმენელებისადმი არადიფერენციული მიდგომით, პროპაგანდისტთა ცუდი შერჩევით, სკოლების და წრეების სასწავლო ნივთებით მოუმარაგებლობით და ამ რაიონებში ძირეულ პარტორგანიზაციების მიერ პარტსწავლების ოპორტუნისტული შეუფასებლობით.

უდიდესი მნიშველობა პარტსწავლების დარგში ენიჭება **სწავლების მეთოდს და მსმენელთა ლიტერატურით მომარაგებას.** პროპაგანდისტი, რომელიც თავისი მუშაობის პროცესში ლექციებთან ერთად დიდ ადგილს უთმობს გაელილი მასალის ირგვლივ ცოცხალ საუბარს. ლიტერატურის ან გაზეთების ხმა-მაღალი კითხვას, თემის უკეთ შეთვისებისათვის ხელს უწყობს ცალკე მსმენელთა შორის სოცშეჯიბრების განვითარებას — უეჭველად დიდ შედეგებს მიაღწევს. სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს პარტსწავლებაში **პოლიტბრძოლამ,** სკოლებს, წრეებს და ცალკე მსმენელებს შორის.

პარტსწავლების დარგში საგულისხმო როლს თამაშობს უჯრედის **კულტპროპორგანიზატორი.** ამიტომ უჯრედებმა კულტპროპორგანიზატორების გამოყოფას მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრან, რადგან კულტპროპორგანიზატორზეა დამოკიდებული პარტსწავლების სათანადო დონეზე დაყენება თვითეულ ფაბრიკა - ქარხანაში, მაღაროში საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობაში.

სუსტია დღემდე, **პარტაქტივის თეორიული სწავლება,** თუმცა ამ მხრივ გასულ წელს, წინა წლებთან შედარებით ერთგვარი მიღწევები ვიგიპოვეთ. უნდა მოხდეს პარტაქტივის სწორი აღრიცხვა, დიფერენცირებულათ მიუდგეთ მას და მომზადების დონის მიხედვით მიზანშეწონილად გავანაწილოთ პარტსწავლების ქსელში. გარკვეული შედეგები მოგვცეს გასულ წელს რაიონულ პარტაქტივისთვის დაარსებულმა სემინარებმა. ეს პრაქტიკა მომავალშიც უნდა განვაგრძოთ. რაიონული პარტაქტივის სემინარები უნდა უზრუნველვყოთ ცენტრიდან კვალიფიციური ხელმძღვანელებით, აუცილებელი ლიტერატურით და მივაღწიოთ სემინარების სისტემატიურ მუშაობას.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტსწავლებას **კომკავშირში** კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის სახელმძღვანელოდ უნდა გამოიყოს ღირსეული პარტიული პროპაგანდისტები. უნდა აღიკვეთოს კომკავშირის პოლიტსკოლებისა და წრეების ხელმძღვანელებათ უპარტიოების გამოყოფა, რასაც გასულ წელს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ რაიონებში.

უნდა გაძლიერდეს განსაკუთრებით **პარტკანდიდატების** პოლიტსწავლება, ფართოდ უნდა გავშალოთ საზაფხულო პარტსწავლების ქსელი, ყოველმხრივ დავხერგოთ და განვავითაროთ პარტსწავლების დარგში შრომის სოციალისტური ფორმები და მთელი პარტიული ორგანიზაცია სათანადოთ მოვამზადოთ პარტიის წმენდისათვის.

პარტსწავლების ყველა ეს საკითხები თავისი მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციოს მიმდინარე რესპუბლიკანურმა კულტპროპათბირებმა და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი პარტგანათლების საქმის მაღალ საფეხურზე დაყენებლად.

პარტიის წევრების, კანდიდატების, კომკავშირელების და უპარტიო მუშების და საკოლმეურნეო აქტივის მარქსისტულ - ლენინური თეორიით შეიარაღება ძირეულ პარტორგანიზაციების საპასუხისმგებლო ამოცანაა. პარტსწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებით ჩვენ უნდა გავაძლიეროთ პარტიულთა და კომკავშირელთა იდეოლოგიური სიმტკიცე, კიდევ უფრო მჭიდროთ დავრაზმოთ პარტიის გენერალური ხაზის ირგვლივ პარტიული და უპარტიო მშრომელი მასები, გამოვამჟღავნოთ კლასობრივი მტრის ქურდული მახინაციები და შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ კაპიტალისტური ელემენტების და მათი აგენტების: კონტრ - რევოლუციონური ტროცკიზმის, მემარჯვენე გადახრის, „მემარცხენე“ გამრუდებების და ყველა ჯურის შემარიგებლების წინააღმდეგ.

გავსწმინდოთ ნათესები სარეველა ბალახებისა და მინდვრის მავნებლებისაგან

მივაპყრათ გადამჭრელ გარდატეხას ტექნიკური კულტურების ნათესების დამუშავებაში

ჩაი

„სახ. ჩაი“-ს ცნობით, 15 ივნისისათვის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში პლანტაციების **პირველი თოხნა** ჩატარებული იყო 5.824,67 ჰექტარზე (გეგმის 58 პროც.); მეორე თოხნა 430,19 ჰექტ. (გეგმის 5 პროცენტი).

ცალკე საბჭოთა მეურნეობების მიხედვით გეგმის შესრულება ასეთ სურათს გვაძლევს:

სალიბაურის საბჭ. მეურნ. პირველი თოხნა ჩატარებული ჰქონდა 169 ჰექტარზე (გეგმის —100 პროც.), **გონიოს**—74 ჰექტ. (48 პროც.)); **ჩაქვის**—238,87 ჰექტ. (54 პროც.), **ქობულეთის**—385 ჰექტ. (გეგმის 100 პროც.), **ნატანების**—86 ჰექტ. (გეგმის—100 პროც.), **ლაითურის**—1019 ჰექტ. (გეგმის 100 პროც.), **ნასაკირალის**—402 ჰექტ. (გეგმის—58,6 პროც.), **ხონის**—460 ჰექტ. (გეგმის 100 პროც.) დიდი ჯყონის 215 ჯგუფარი (გეგმის 28 პრ.) ნარაზენის 866 ჰექტ. (გეგმის 66,2 პრ.) **ჯოლევჯიხია** 32 ჰექტ. (გეგმის 5,9 პროც.) **წალენჯიხის**—452 ჰექტ. (გეგმის—62,9 პროც.), **ლესელიძის** —92,5 ჰექტ. (გეგმის—71,2 პროც.), **ახიგვარის**—731 ჰექტ. (გეგმის 75,8 პროც.), **კოლორის**—52,3 ჰექტ. (გეგმის—20 პროც.)

დაუშვებელი ნელი ტემპით წარმოებს აგრეთვე ჩაის პლანტაციების მეორე თოხნაც. ასე, მაგალითად იმავე 15 ივნისისათვის მეორე თოხნა სალიბაურის საბჭოთა მეურნეობას ჩატარებული ჰქონდა 74 ჰექტარზე (გეგმის—43,8 პროც.), ჩაქვის — 94 ჰექტ. (17,6 პროც.), ლაითურის —65 ჰექტ. (6,4 პროც.), ხონის —151,19 ჰექტ. (32,9 პროც.) წალენჯიხის—46 ჰექტ. (6,4 პროც.). ამავე რიცხვისათვის მეორე თოხნა არ ჰქონდათ დაწყებული გონიოს, ქობულეთის ნატანების, ნასაკირალის, დიდი ჯყონის ნარაზენის, ჯოლევჯენის, ლესელიძის, ახიგვარის და კოლორის საბჭოთა მეურნეობებს.

ჩაის პლანტაციების თოხნა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კოლმეურნეობებშიც.

საქ. ტრაქტორცენტრის ცნობით 15 ივნისისათვის **პირველი** თოხნის გეგმა არ ჰქონდათ შესრულებული ბათომის, გალის, კოდორის, ხონის, ოკრიბის, სენაკის და მარტვილის რაიონების კოლმეურნეობებს პირველ თოხნაში სამარცხვინოდ ჩამორჩა ქუთაისის რაიონი, რომელსაც ამავე რიცხვისათვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 12,3 პროცენტით.

ჩამორჩენას აქვს აგრეთვე ადგილი მეორე თოხნაშიც.

ჩაის პლანტაციების პირველი თოხნა უნდა დამთავრებულიყო 1-ლ ივნისს.

ზემოხსენებული ციფრები მოწმობენ, რომ ჩაის ზოგიერთ რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამიწამდმოქმედო ორგანიზაციებმა სათანადოთ ვერ გაამახვილეს ყურადღება პირველი თოხნის ვადაზე ჩატარების ირგვლივ. ეს გარემოება საფრთხეს უქმნის ჩაის მოსავლიანობის გადიდებას. ჩაის პირველ თოხნაში არსებული ჩამორჩენა უახლოეს დღეებში დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ამასთანავე ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ მეორე თოხნის ტემპები.

ბამბა

მიწსახკომის ცნობით, 15 ივნისისთვის მთელ საქართველოში ბამბის ნათესების პირველი თოხნა ჩატარებული იყო 17.970 ჰექტარზე, რესპუბლიკანური გეგმა შესრულებულია 97,2 პროცენტით. პირველ თოხნაში ჩამორჩენ ყარაიის და გურჯაანის რაიონები.

ბამბის ნათესების მეორე თოხნა **ბორჩალოს** რაიონში ჩატარებული იყო 4.782 ჰექტარზე (გეგმის—46,9 პროც.), **ლენინაყანის რაიონში**—811 ჰექტ. (გეგმის 93,4 პროც.) **სიღნაღის**—1462 ჰექტ. (90,6 პროც.), **გურჯაანის**—519 ჰექტ. (67,8 პროც.), **ყარაიას** რაიონს გეგმა შესრულებული ჰქონდა 50 პროც. **საგარეჯოს** რაიონ ამავე რიცხვისათვის თოხნის მიმდინარეობის შესახებ საქ. მიწსახკომისათვის ცნობები არ ჰქონდა გამოგზავნილი.

ბამბის ნათესების მეორე თოხნა საქართველოში უნდა დამთავრებულიყო 15 ივნისს მებამბეობის არც ერთ რაიონს დაწესებულ ვადაზე დავალება არ შეუსრულებია.

ბებამბეობის ზოგიერთ რაიონულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ შეუთვისებიათ ის მეშმარიტება, რომ მარტო თესვის დამთავრებით არ ამოიწურება ბამბის მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლა, არამედ ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბამბის თესვის ფრონტზე მოპოვებული გამარჯვებანი განვამტკიცოთ ნათესების დროზე და წესიერად დამუშავების გზით.

შაქრ ჭარხალი

არც შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავებაში მომხდარა საჭირო გარდატეხა. ჭარხლის ნათესების პირველი თოხნა უნდა დამთავრებულიყო 15 მაისისათვის.

კასპის რაიონს, მაგალითად, ეს მუშაობა არ ჰქონდა დამთავრებული 15 ივნისისათვისაც კი.

სტალინის რაიონში 15 ივნისისათვის ჭარხლის ნათესების შეთხელება გათოხნა ჩატარებული იყო 2.243 ჰექტარზე (გეგმის 84,2 პროც.), **გორის** 881 ჰექტ. (გეგმის 99 პროც.), **კასპის** 638 ჰექტ. გეგმის 91,1 პროცენტი. (ეს მუშაობა უნდა დამთავრებულიყო 30 მაისამდე).

შაქრის ჭარხლის პირველი შეთხელების შემდეგ მორიგი მუშაობაა ნათესების შემოწმება, ანუ მეორე შეთხელება, რომელიც უნდა დამთავრებულიყო 15 ივნისამდე. მდგომარეობა ამ მხრივ ცუდია. ასე, მაგალითად, ამავე რიცხვისათვის მეორე შეთხელება (გათოხნით) **არ ჰქონდა დაწყებული სტალინისის რაიონს; გორის რაიონს** გეგმა შესრულებული ჰქონდა 38 პროც **კასპს** 2,9 პროც.

შაქრის ჭარხლის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამიწადმოქმედო ორგანიზაციები და სამინქანო-სატრაქტორო სადგურები ვალდებული არიან ყოველ მიზეზს გარეშე გაძლიერონ ჭარხლის ნათესების დამუშავების ტემპები.

სასტიკ პასუხისგებაში ნათესების დაზიანებისათვის

(სტალინისის რაიონი)

სტალინისის რაიონში ნათესების დაცვას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ხშირია ნათესების პირუტყვისაგან მოძოვების შემთხვევები. **ზოგიერთ სოფლებში დღემდე არ არიან გამოყოფილი ნათესების დამცველი**—მეველეები. მაგალითად, **სოფ. ქარელში** ერთპიროვნულ მეურნეთა ნათესებიც დასაცავად მეველეები არ აურჩევიათ. ამის გამო ადგილი აქვს ნათესების პირუტყვისაგან მოძოვებას.

უყურადღებობას იჩენენ ნათესების დაცვაში **გომისა და მოხისის სას. საბჭოების** მიერ გამოყოფილი მეველეები. მაგალითად, 6 ივნისს სოფ. მოხისის მენარჯირეებმა რამოდენიმე ათეული სული პირუტყვი შეიპყრეს აგარის საბჭოთა მეურნეობის საკვები ბალახის ნათესებში. პირუტყვმა დაახიანა ნათესები, ზარალი უდრის ორი ათას მანეთს. **დამნაშავეების მიმართ დღემდე არ არის მიღებული** გადამჭრელი ზომები.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნათესების დაცვას და სასტიკი ზომები იქნას მიღებული ყველა იმათ მიმართ, ვინც ანაგდურებს სოციალისტურ მოსავალს.

გ—ი.

პურის მასიური აღება 20 ივნისიდან იწყება

(ტელეგრამა ალაზნიდან)

ალაზნის საბჭოთა მეურნეობამ (სიღნაღის რაიონი) წელს პირველად უნდა აიღოს პური 1040 ჰექტარზე. მოსავლის აღებისათვის გამოყოფილია 8 ბრიგადა, რომლებზედაც მიმაგრებულია სამკელი მანქანები, ტრაქტორები და ცოცხალი გამწევი ძალა.

მეურნეობა უზრუნველყოფილია მასიური — კვალიფიკაციის კადრებით. ამჟამად მეურნეობას აქვს 10 სამკელი მანქანა, დამატებით მოელიან ცხენის 5 სამკელ მანქანას და ტრაქტორებს. ავტომანქანები და სხვა გადასაზიდი საშუალებები წესრიგშია მოყვანილი, მიმდინარეობს ბელლების და საწყობების რემონტი.

მეურნეობაში პურის მასიური მკა 20 ივნისიდან დაიწყება. პარტიული, კომკავშირული და პროფესიონალური ორგანიზაციები ენერგიულათ იბრძვიან 100.000 ფუთი პურის მისაღებათ.

ი. ჭოჭუა.

დავიცვათ შაქრის ჭარხლის ნათესები ველის ფარვანასაგან

(აგარა, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

აგარის შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობაში მასიურადაა გავრცელებული ველის ფარვანა. უკანასკნელი გამორკვევის მიხედვით, ველის ფარვანა მოდებულია 532 ჰექტარზე, აქედან საგრძნობლათ დაზიანებულია 5 ჰექტარი. მეურნეობის დირექცია, პარტიული ორგანიზაცია, მინდვრისა და ტყის მაგნებლებთან მებრძოლი საზოგადოების სტალინისის პუნქტი სუსტად იბრძვიან ველის ფარვანას წინააღმდეგ. დღემდე ჩატარებულია ქიმიური წამლობა ველის ფარვანას წინააღმდეგ მხოლოდ 17 ჰექტარზე.მაგრამ არ არის გამორკვეული თუ რა ეფექტი მოგვცა ჩატარებულმა მუშაობამ.

საბჭოთა მეურნეობაში ველის ფარვანას გავრცელებიდან 20-22 დღის შემდეგაც კი არ არის გაყვანილი არხები. ფარვანა მოდებული ნაკვეთების ირგვლივ ნათესების დასაცავათ. არ არის გამოყენებული მეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობაში) როგორც ერთწლიანი, ისე ორწლიანი კულტურების საიოსლე ფართობი, ყოველ შემთხვევაში იმაზე არა ნაკლები რაოდენობით, რაც საჭიროა მეურნეობისათვის.

დღეწყებს განსაკუთრებული კონტროლი ხასიათი და სტაფილოს საოსლეების გამოყოფაზე, დაეყალოს საოლქო აღმასკომებს და საოლქო კომიტეტებს სავსებით უზრუნველყონ თავისი საოლქო რესურსებიდან საჭირო 1934 წლის ხახვის და სტაფილოს თესლით.

ე) შემოწმებულ იქნას, თუ რამდენად არის მომზადებული საწყობები და ტარა ბოსტნეულისა და ბოსტნეულის თესლისათვის.

ხ. ხ. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვი (სკრიაბინი).
საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სტალინი.

სელის და კანაფის, კართოფილის და ბოსტნეულის დამუშავების და აღების შესახებ

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ.(ბ) ცეკა ადგენენ:

1. სელის და კანაფის გათოხნის, აღების და პირველადი დამუშავების დარგში

ა) ჩატარდეს სელის ყველა ნათესების გათოხნა, აგრეთვე სასელექციო სელის ნათესებზე და დანაგვიანებულ ნათესებზე—ორმაგი გათოხნა, და დამთავრდეს იგი არა უგვიანეს ივლისის დამლევისა.

ბ) მომზადებულ იქნას საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეობებად სელის მჩეჩელთა კადრები ხელსაწერ მანქანებზე სამუშაოდ ორ-ორ ცვლად თვითეულ მანქანაზე; და უზრუნველყოფილ იქნას ყველა სელსაწერ მანქანების მთლიანად გამოყენება.

გ) ჩატარდეს სელის ჩეჩვა არა უმეტეს 8-10 სამუშაო დღის ვადისა, ამასთან არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული სელის დიდხანს დატოვება ძირზე აუცილებლად და ჩატარდეს თვითეული ნაკვეთის გაჩეჩვა მასზე სელის დამწიფებისთანავე იმ, რომ არ დაუცადოს მთელი სელის დამწიფებას.

დ) აიკრძალოს სელის ჩალის დატოვება საზამთრო და საშემოდგომო საფენად.

ე) ჩატარდეს ხარისხის მხრივ სელის და კანაფის საუკეთესო ნაკვეთების აპრობაცია.

ვ) დამთავრდეს სელ-ქარელის ქარხნების რემონტი 15 სექტემბრისათვის.

ზ) მოეწყოს განსაკუთრებული კონტროლი ქარხნების მიერ მისაღებ სელის ჩალის და მისი დამუშავების ხარისხზე იმ ანგარიშით, რომ მიღწეულ იქნას სატრაბინე ნედლეულისადან მეტი რაოდენობის გრძელ ბოჭკის მიღება.

თ) დამთავრდეს ნოემბრისათვის სელის და კანაფის ყველა იმ ახალ, ლოკომობილზე და კანაფის ყველა ნაგებობების აშენება, რომელთა მშენებლობაც ახლა წარმოებს.

ი) ვინაიდან სრულიად არა საკმაოა მუშობა კანაფზე, რომელსაც აქვს უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცეკა მოითხოვენ კანაფის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან უზრუნველყონ ქერქლის თავის დროზე და სრულად მიღება (აუცილებლის დასასრულს), ბრძოლის ჩატარება მავნებლების წინააღმდეგ და კანაფის დანაშების საქმის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურს და კოლმეურნეობას მიეცემა, რაიონის პარტბეჭდით შეფარდებით, გარკვეული დავალება შემოდგომიდან კანაფის მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობის დანაშების შესახებ.

2. კართოფილის და ბოსტნეულის დამუშავების და აღების დარგში

ა) ჩატარდეს კართოფილის ნათესების ორჯერ გაფხვიერება და მიწის შემოყრა და ერთჯერ გათოხნა, კომბოსტოს—სამჯერ გათოხნა და ერთჯერ შეთხელება.

ბ) ჩატარდეს კართოფილის აღება **15-20,** ხოლო კომბოსტოს—**10-12** სამუშაო დღეში, ამასთან ფართოდ იქნას გამოყენებული ბოსტნეულისა და ბოსტნეულის თესლისათვის არსებული აღება მათი დამწიფებისთანავე.

გ) ფართოდ იქნას გამოყენებული ბრიგადების შეგნით **5-10** კაცისაგან შემდგარი სპეციალური ბრიგადების გამოყოფის პრაქტიკა კართოფილის და ბოსტნეულის დაშენების და აღების ყველა სამუშაოების ჩასატარებლად განსაზღვრულ ნაკვეთებზე.

დ) გამოყოფილ იქნას თვითეული მეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობაში) როგორც ერთწლიანი, ისე ორწლიანი კულტურების საოსლე ფართობი, ყოველ შემთხვევაში იმაზე არა ნაკლები რაოდენობით, რაც საჭიროა მეურნეობისათვის.

ე) შემოწმებულ იქნას, თუ რამდენად არის მომზადებული საწყობები და ტარა ბოსტნეულისა და ბოსტნეულის თესლისათვის.

ხ. ხ. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვი (სკრიაბინი).
საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სტალინი.

ახალი ვითარება—სოფლად მუშაობის ახალი მეთოდები

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა მუშაობის, საკოლმეურნეო უჯრედის და პოლიტგანყოფილებების და რაიკომების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ“*), რომელიც გამოქვეყნდა „პრავდა“-ს გუშინდელ ნომერში, აქვს უაღრესად აქტუალური პოლიტიკური მნიშვნელობა ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის ბრძოლაში.

ეჭვს გარეშეა, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომი, „ხიშტებით“ შეხვდა პოლიტგანყოფილებათა მუშაკებს. ასეთი ფაქტები უკვე მოყვანილი იყო „პრავდა“-ში, კერძოდ 12 ივნისს დაბეჭდილ წერილში სათაურით: „ყოველმხრივ შეუწყოთ ხელი სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებს“*). კიდევ შეიძლებოდა მრავალი ასეთი ფაქტის მოყვანა. აღვნიშნოთ თუნდაც გავრილო - იამსკის (იავნოვსკის ოლქი) რაიკომის დამოკიდებულება სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტ - განყოფილებისადმი. ამ რაიკომის მდივანმა ამბ. შეპნიკოვამ ერობაშად გადაწყვიტა რომ პოლიტგანყოფილება „ატარებს ანტიპარტიულ ხაზს“ ანტიპარტიულობა გამოიხატა იმაში, რომ პოლიტგანყოფილების მუშაკებმა დაიწყეს აქტიური მუშაობა უჯრედებში ისე, რომ „ყოველ ცალკე შემთხვევაში არ მოახსენეს ამის შესახებ რაიკომს“. რაიკომმა აკრძალა იმ კოლმეურნეობათა უჯრედების მდივნებს, რომლებსაც მოძახებას უწევენ სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, პოლიტ - განყოფილების მიერ მოწვეულ თათბირზე დასწრება. „პოლიტგანყოფილების უფროსი, — ნათქვამია იყო რაიკომის ბიუროს სხდომაზე, — უნდა ემორჩილებოდეს რაიკომს და ბიუროს თანხმობის გარეშე მას არა აქვს უფლება გამოვიდეს პრინციპიალურ - პოლიტიკურ საკითხებზე“, ვინაიდან „პარტიის რაიონული წევრი, უწინარეს ყოვლისა, ემორჩილება იმ პარტიულ ორგანიზაციას, რომელშიაც იგი ირიცხება“.

*) დაიბეჭდა „კომუნისტი“-ს გუშინდელ ნომერში.

რედ.

„პრავდა“-ს მეთაური

ბაზე რაიკომებისადმი, არამედ იმაზე რომ რაიკომებმა ყოველგვარი და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ პოლიტგანყოფილებებს. ლაპარაკი არ შეიძლება იმაზე, რომ დავუმორჩილოთ პოლიტგანყოფილება რაიკომს და რომ რაიკომმა გამოიყენოს პოლიტგანყოფილების მუშაკები თავის მიზნებისათვის, როგორც, მაგალითად, ამას ცდილობდა ყაბარდო - ბალკარის ოლქის მთიანი რაიონის პარტკომი. ასეთი ცდიდან რაიკომები, გარდა სირცხვილისა, ვერავითარ სარგებლობას ვერ ნახავენ.

საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ სოფლად გაგზავნილია ცენტრალური კომიტეტის მიერ შერიგებით ათი ათასი მტკიცე პარტიული მუშაკი. საქმე მდგომარეობს პარტიული ორგანიზაციის ახალ საწარმოო პრინციპში, მუშაობის ახალ მეთოდებში, რომლებიც შეეფერებიან სოფლის ახალ ვითარებას. ამაში მდგომარეობს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის მიერ პოლიტგანყოფილებათა შესახებ მიღებულ გადაწყვეტილების დედა-აზრი.

საჭიროა გადაჭრით ავლაგმოთ ისეთი ჩინოვნიკები, ბიუროკრატები, როგორიცაა სვობოდინსკის რაიკომის მდივანი, რომელიც შეეცადა სამანქანო - სატრაქტორო სადგურში ათასამართლოს სესიის გაგზავნით ძალა მიეცა მის მიერ პოლიტგანყოფილების წინააღმდეგ მიღებულ უკანონო ღონისძიებებისათვის. მაგრამ არიან აგრეთვე ისეთები, რომელნიც განცვიფრებით კითხულობენ: „მაშ რაღა უნდა აკეთონ ეხლა რაიკომებმა?“-ო. ეს კითხვა უქმი და უაზროა. არც რაიკომები, არც ტერიტორიული უჯრედები არ უქმდებიან, როგორც ეს სჩანს ცეკას დადგენილებიდან. რაიკომს სამუშაო საქმაოზე მეტი აქვს. და საერთოდ, როდის წარმოიშვა საკითხი იმის შესახებ, რომ რაიკომებს არ ყოფით სამუშაო? ჯერ - ჯერობით ვიცით მხოლოდ შემთხვევები, როცა ბევრი რაიკომი თავს ვერ ართმევდა მუშაობას.

გარდა ამისა, პარტიის რაიკომთა უმრავლესობის პოლიტგანყოფილებებთან საერთო მუშაობის გამოცდილება გვეჩვენებს, რომ ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი ძალიან უბრალოდ წყდება, თუ რაიონულ მუშაკების მთავარ სამუშაოს წარმოადგენს არა „კონკურენციის“ საკითხი, არამედ ბოძოცა ბოლშევიკურ კოლმეურნეობებისათვის, პარტიის ისტორიულ ლოზუნგისათვის, რომელიც მოითხოვს ყველა კოლმეურნეების აყვანას შეძლებული კულტურული ცხოვრების დონემდე. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს რაიკომების და პოლიტგანყოფილებებს შეთანხმებულ, ბოლშევიკური ენტუზიაზმით შეკავშირებულ მუშაობასთან. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყველგან შეიქმნას მუშაობის ასეთი ბოლშევიკური პირობები.

„სოფლად მუშაობის ახალი პირობები, — ნათქვამია ცეკას გამოქვეყნებულ დადგენილებაში, — მოითხოვენ... რათა აღმოიფხვრას უთანხმოება რაიკომებსა და პოლიტგანყოფილებებს შორის და შეიქმნას გარკვეულობა მათ ურთიერთდამოკიდებულებაში“.

მთავარია ის, რომ ცენტრალურ ბებში შეიქმნას მტკიცე საწარმოო უჯრედები, რომელიც მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი კოლმეურნეთა მასებთან, და რომელთაც უნდა ჰქონდეთ უნარი ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლმეურნეობის საწარმოო ცხოვრებას. საკოლმეურნეო უჯრედი კიდევ უფრო უნდა დაუახლოვდეს წარმოებას, უჯრედის მოშაობის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას საკოლმეურნეო ბრიგადაში. პარტიული ჯგუფების და პარტორგების სისტემამ ბრიგადებში სავსებით გაამართლა თავისი არსებობა. „პრავდა“-ში უკვე მოყვანილი იყო მრავალი ფაქტი, როცა ჩამორჩენილი ბრიგადა მოწინავე ხდება მას შემდეგ, რაც ბრიგადაში ეწყობა პარტიული ჯგუფი ან მუშაობას იწყებს კარგი პარტიული ორგანიზატორი.

საკმარისია დავასახელოთ ბეზენჩუკის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის ლენინის სახ. კოლმეურნეობის მე-3 ბრიგადა. აქ პარტორგანიზატორმა ამბ. ევსიგნეევმა რაღაც ერთი - ორი თვის განმავლობაში პირდაპირ გაარდაქნა ბრიგადა. ამჟამად იგი ყველაზე წინ მიდის ამ მეწარმეობის სადარაჯოზე. ასეთი ფაქტები ბევრია. ამ ფაქტებზე დაყრდნობით ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია იანვრის პლენუმის მიერ პოლიტგანყოფილებათა შესახებ მიღებულ გადაწყვეტილების დედა-აზრი.

საჭიროა გადაჭრით ავლაგმოთ ისეთი ჩინოვნიკები, ბიუროკრატები, როგორიცაა სვობოდინსკის რაიკომის მდივანი, რომელიც შეეცადა სამანქანო - სატრაქტორო სადგურში ათასამართლოს სესიის გაგზავნით ძალა მიეცა მის მიერ პოლიტგანყოფილების წინააღმდეგ მიღებულ უკანონო ღონისძიებებისათვის. მაგრამ არიან აგრეთვე ისეთები, რომელნიც განცვიფრებით კითხულობენ: „მაშ რაღა უნდა აკეთონ ეხლა რაიკომებმა?“-ო. ეს კითხვა უქმი და უაზროა. არც რაიკომები, არც ტერიტორიული უჯრედები არ უქმდებიან, როგორც ეს სჩანს ცეკას დადგენილებიდან. რაიკომს სამუშაო საქმაოზე მეტი აქვს. და საერთოდ, როდის წარ

რესპუბლიკანური კულტპროპაგანდისტური

უფრო გაჯანსაღებულ ბრძოლას, პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის

ამხ. კ. ორაგველიძის მოხსენებიდან

ჩვენი თათბირის ამოცანა მდგომარეობს იმაში,—იწყებს ამხ. ორაგველიძე,—რომ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის თვალსაზრისით, შეჯამდეს მარჯვისტულ-ლენინური აღზრდის მდგომარეობა საქართველოში, გამოვამჟღავნოთ 1932-33 წწ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში არსებულ პარტგანათლების ქსელის მუშაობაში შემჩნეული დეფექტები და მათ საფუძველზე დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი ზაფხულის პერიოდში პარტგანათლების ქსელის ფართოდ გაშლის, პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში ხაზი გაუსვა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში იდეური პოლიტიკური დონის სისუსტეს და წინააღმდეგ მისცა ა.-კ. სამხარეო კომიტეტს და ნაციკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს თავიანთი ყურადღების ცენტრში მოაქცეთ მუშაობა მთელი ორგანიზაციის იდეურ პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის, პარტიის წევრების და კანდიდატების მარჯვისტულ-ლენინური აღზრდისა და იდეოლოგიურ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის წარმოების საფუძველზე პარტიული ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ. ამ დადგენილების შესრულება ა.-კ. პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პროგრამად გახდა.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე გაიშალა ბრძოლა პარტიის წევრებისა და კანდიდატების მარჯვისტულ ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის, პარტიული მასების იდეურ-თეორიული დონის ამაღლების და პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის, ასპი პარტიული მუშაობის შედეგად საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ გამოსცადა ცალკე რაიონებში და ორგანიზაციებში ძლიერი და სუსტი მხარეები, ამ ბრძოლის პროცესში გამოიზარდა ახალი პარტიული კადრები, ამაღლდა მათი თეორიული დონე.

პარტიული სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში უდიდეს როლს თამაშობს კულტპროპორგანიზატორთა კვალიფიკაციური კადრის შექმნა „პოლიტსკოლებისა და წრეების მომარაგება სახელმძღვანელოებით და ბიბლიით.

პარტიული სწავლების ფორმებიდან ყველაზე დაბალი ადგილი ეჭირა პარტიულ სწავლებას მუშა მასების შორის. ამ ფორმის სწავლებაში ჩაბმული იყო მხოლოდ 20 პრ., საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლ. 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე 1931-32 წ: პარტგანათლების ქსელში გაერთიანებული იყო 28.000 კაცი, რაც შეადგენდა პარტიის წევრთა და კანდიდატთა 52 პროც., მიმდინარე წელს ამ მხრივ მდგომარეობა უმჯობესდება. ცენტრალური კომიტეტის კულტპროპაგანდისტურმა შეიმუშავა პარტგანათლების ქსელის გაშლის საკონტროლო ციფრები და დროულად დაიყვანა ცალკე რაიონებამდე. ადგილებზე გაიგზავნენ ცეკას ინსტრუქტორები დახმარების გასაწევად პარტგანათლების ქსელის გაშლისათვის.

ზოგიერთი რაიონებში ჩაიშალა პარტგანათლების ქსელის მუშაობა, ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მთელ რიგ რაიონებისა (თელავის, სამხრეთ-ოსეთი, სტალინისი, ჩოხატაური, თიანეთი და სხვ.), ვერ უზრუნველყვეს პარტიის დადგენილებათა რეალიზაცია სკოლების და წრეების ჩამოყალიბების დროს მსმენელებისადმი დიფერენცირებული მიდგომის წესახებ. არ ახდენდნენ საწარმოო პირობებისა და მსმენელთა შერჩევის დროს მათი თეორიული მომზადების შესწავლას. ადგილი ჰქონდა პარტიული სწავლების მემარჯვენე ოპორტუნისტულ შეუფასებლობას. პოლიტსკოლებზე და წრეებზე არ იყო ყველგან კონკრეტული ხელმძღვანელობა, მცირე იყო პროპაგანდისტთა კადრები და ბევრგან დაბალი იყო მათი თეორიული მომზადების დონე.

პარტიული სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის ძლიერ ხარისხი თამაშობს კულტპროპორგანიზატორთა კვალიფიკაციური კადრის შექმნა „პოლიტსკოლებისა და წრეების მომარაგება სახელმძღვანელოებით და ბიბლიით.

პარტიული სწავლების ფორმებიდან ყველაზე დაბალი ადგილი ეჭირა მუშა და კოლმეურნე პროპაგანდისტებში. პროპაგანდისტების მომზადებისა და მათ ზრდა-გაძლიერებაზე ცენტრალური კომიტეტის 1931 წლ. 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით

საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის მოწესრიგება—ბოლშევიკური საქმეა

კოლმეურნეობას აღრიცხვა უყვარს

ხაქ. მიწსახკომის დადგენილებით, 1 ივნისიდან—20 ივნისამდე საქართველოს კოლმეურნეობებში მიმდინარეობს საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის ათდღიური. მიუხედავად ამ კამპანიის უდიდეი სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობისა, მთელი რიგი რაიონები ამ მიმართულებით დაუშვებელ უყურადღებობას იჩენენ.

ათდღიური დასასრულს უახლოვდება, ბევრგან კი საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის საქმეში ჯერ კიდევ არ მოსზდარა ძირითადი გარდატეხა. მრავალია შემთხვევა, როდესაც აღრიცხვას აწარმოებენ არა ბრიგადირები (კახპი, გორი, დუშეთი და სხვ.), არამედ მოსნაარეები და იმასაც, რამდენიმე დღით დაგვიანებით. აღრიცხვას უშუალოდ ბრიგადირი უნდა აწარმოებდეს ყოველდღიურად.

ცხადია, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ზოგიერთ წევრების მიერ შრომა-დღეების დაკარგვის და ზოგჯერ ზედმეტად დაწერის შემთხვევებს. ასე, მაგალითად, სოფ. მირზოევკას (ბორჩალოს რაიონი) კოლმეურნეობა „წითელი გაზთიაღი“ მოანგარიშე ზედმეტად უწერს ზოგიერთ წევრებს შრომა-დღეებს, ზოგიერთებს კი აკლებს. კასპის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოანგარიშეებიც ვერ აწარმოებენ შრომა-დღეების წესიერ აღრიცხვას. (გურჯაანი, ბორჩალო).

ზოგან არ არის გატარებული ხაკ. მიწსახკომის 1933 წ. 28 თებერვლის დადგენილება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია, ბრიგადისაგან სამუშაოს მიღებისას, თუ სამუშაო არა საკმაოდ დამაკმაყოფილებელია, ბრიგადას და ბრიგადირს 10 პროცენტით შეუმციროს შრომა-დღეები, გამომუშავებული საერთო რაოდენობიდან.

ბაშკიჩეთის და სამხარეთ-ოკაეთის ზოგიერთ კოლმეურნეობებში ღრიცხვას არ აწარმოებენ საკავშირო მიწსახკომის მიერ შემოღებულ ყველა ფორმებით. ფორმებს არ ავსებენ სათანადო გასამართლებელ საბუთების მიხედვით და აქტების საფუძველზე არა აქვთ შედგენილი კოლმეურნეობაში განსაზოგადოებული ჯონების და საწარმოო საშუალებათა მთლიანი სია.

აღრიცხვის საშეში ჩვენ ვხედებით მრავალ მოუწესრიგებლობის ფაქტებს, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმის წათელსაყოფად, თუ როგორ უხელუხლოთ ეპყრობიან ბევრგან მას. იმ კოლმეურნეობებში, სადაც მოუწესრიგებელია შრომის აღრიცხვა, ადგილი აქვს დაბანინებას ავანსების გაცემის საქმეში. ეს გარემოება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსავლის და შემოსავლის განაწილების დროს თვითეული შრომა-დღის რეალური ანაზღაურებაზე.

ოპორტუნისტულ შეუფასებლობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ბევრგან საკოლმეურნეო აღრიცხვის მოუწესრიგებლობის საფრთხეს საკმაოდ ვერ ამჩნევენ და არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს ამ არანორმალურ მდგომარეობის გამოსასწორებლად. საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვა ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს კოლმეურნეობათა ხარისხობრივ-რაოდენობრივ განმტკიცებისათვის. ამიტომ ვინც ცდილობს ამ უდიდეს სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხის უყურადღებოდ დატოვებას,—ის აშკარად ხელს უწყობს ჩვენ კლასიურ მტრებს კოლმეურნეობათა საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ჩვენი ამოცანაა — დაუზოგავად ვამხილოთ ზოგიერთ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მოკალათებული კლასობრივად უცხო ელემენტები და დაუყოვნებლივ გავაძევოთ ისინი კოლმეურნ. მმართველ აპარატებიდან. არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა, რომელსაც ზუსტად არ ექნება გამოანგარიშებული შრომა-დღეები და გადატნილი შრომის წევნაკებში.

საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის მოწესრიგების ამოცანა არ ამოიწურება მხოლოდ ათდღიურით, იგი ძირითად საბრძოლო ამოცანად უნდა გადაიქცეს ყველა საბჭოდ-კოოპერატიული და საკოლმეურნეო ორგანიზაციებისათვის მთელი სამეურნეო წლის განმავლობაში. ეს საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რომელთა კონკრეტული ხელმძღვანელობის შედეგად, საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვა უნდა ავიყვანოთ მაღალ საფეხურზე.

ა. ნ.

ვანის რაიონში ათდღიური წარმატებით მიმდინარეობს

საქართველოს კ.პ.(ბ) ვანის რაიკომის ბიუროს და რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა აღრიცხვის ათდღიურის ჩატარების შესახებ სპეციალური დადგენილება გამოიტანეს. კოლმეურნეობებზე მიმაგრებულია საანგარიშო დარგის 20 მუშაკი, რომლებიც პრაქტიკულად ეხმარებიან კოლმეურნეობებს შრომის აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების საქმის მოსავარებლად.

ვანის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვა მოუგვარებელია. ასე, მაგალითად, **სოფ. გორას „ძმათა კავშირის“** კოლმეურნეობაში მოანგარიშეების დაუდგენ რობით ადგილი აქვს დამახინჯებას. კოლმეურნეობის ყოფილ მოანგარიშეს **დიაკონიძეს** განზრახ შეჰქონდა კოლმეურნეობაში არევ-დარევა. მან შრომა-დღეები თვითნებურად დააკლო კოლმეურნე ვ. მჟავიას და ზედმეტი დაუწერა თავის ნათესავ **ს. გიორგაძეს;**

რაიონული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის მოწესრიგებას. თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, სამთვიან კურსებზე მომზადდა 35 მოანგარიშე, რომლებიც გაიგზავნენ კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოთ.

სადარიქტიურო ორგანოების დადგინილების საფუძველზე, რაიმუშგლეხინი უკვე შეუდგა კოლმერნეობებში მოანგარიშეების, მნეების, და ხაწყობის გამგეების წმენდას, რაც კოლმეურნეთა შორის დიდ დაინტერესებას იწვევს. **წმენდა ჩატარდა სოფ. ონჯოხეთის და ისრითის კოლმეურნეობებში. წმენდა მიმდინარეობს რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც.**

ელი

არ იციან გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა

(ცაგერი, ხაკ. კორესპონდენტისაგან)

ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის ათდღიური მიმდინარეობს 10 ივნისიდან 20 ივნისამდე. აღრიცხვის ათდღიურთან დაკავშირებით, ცალკე კოლმეურნეობებზე მიმაგრებულია საანგარიშო დარგის 20 მუშაკი.

შემოწმებიდან ირკვევა, რომ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში პოუწესრიგებელია შრომის აღრიცხვა. მაგალითად, სოფ. **კენაშის, ნაკურალეშის, ორბელის და ნასაკირეს** კოლმეურნეობებში შრომადღეების შრომის წიგნაკებში ჩაწერას ძალზე დაგვიანებით აწარმოებენ; სოფ. **ქვედა ლუხვანის კოლმეურნეობის წევრებმა დღემდე არ იციან—რამდენი აქვთ მათ გამომუშავებული შრომა-დღეები.**

საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის დარგში არსებული ნაკლოვანებები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. აღრიცხვის ათდღიურის პერიოდში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თითეული კოლმეურნეს ხელზე ჰქონდეს შრომის წიგნაკი, შეესებული მის მიერ გამომუშავებული შრომა-დღეებით.

დ. ცვარიანი

ათდღიური 6 დღით დააგვიანეს

(სტალინისის რაიონი)

სტალინისის რაიონში საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვა საყოველთაოდ გაუმჯობესდა, მაგრამ მაუხედავათ ამისა, ზოგიერთ კოლმეურნეობებში ამ მხრივ აქეს ადგილი არანორმალურ მდგომარეობას, ასე, მაგ.: სოფ. **დუმაცხოვის** კოლმეურნეობაში არ სწარმოებს გამომუშავებული შრომა-დღეების სისტემატიურად გადატანა შრომის წიგნაკებში; სოფ. **ვაყაზოვის** კოლმეურნეობაში, მოანგარიშე **ოგანეზოვს** უყურადღებოდ ბოთი ანგარიშწარმოება მოუწესრიგებელია.

რაიონის სამოწადმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანიზაციები სუსტათ ხელმძღვანელობენ აღრიცხვის ათდღიურს. საქ. მიწსახკომის დადგენილებით, ათდღიური უნდა დაწყებულიყო 1 ივნისიდან, **ფაქტიურად რაიონში 6 ივნისიდან დაიწყო.** ბევრგან ათდღიური მიმდინარეობს კოლმეურნეობის ფართო მასების მონაწილეობის გარეშე.

ფსკოვის და წრომის სას. საბჭოებმა 10 დღის დაგვიანებით დაიწყეს აღრიცხვის ათდღიური. ჩატარება.

ათდღიური წარმატებით მიმდინარეობს **წრომის, ქვენა ტყაცის, ცხრა-პუხის და ქარელის სას.** საბჭოებში.

გ—ი.

ეროვნულ ზილ-ბოსტნეულის გადამზიდვისათვის საჭირო ცხრა

ტფილისის სამომხ. კოოპერაციამ უნდა უზრუნველჰყოს დამზადებული ხილ-ბოსტნეულის გადმოზიდვა

ტარას ნაკლებობა აბრკოლებს ტფილისში საადრიო ხილ-ბოსტნეულის შემოზიდვას

ტფილისის ბაზარზე ხილ-ბოსტნეულის შემოზიდვა მაისის შუა რიცხვებიდან დაიწყო. ხილ-ბოსტნეულის დამზადება წელს მინდობილი აქვს ცეკავშირის სადარგო გაერთიანება „**საქხილბოსტანს**“. მან ტფილისისათვის წელს უნდა დაამზადოს—1.807.000 მანეთის ხილი. დამზადებული საქონლის რეალიზაცია დავალებული აქვს ტფილისის სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხილბოსტნეულის გადმოზიდვა. ტფილისის სამომხმარებლო კოოპ. კი არაა მზად ხიბოლოსტნეულის გადმოსაზიდად; **მას არა აქვს მოზარაზებული ტარა.**

„**საქხილბოსტანს**“ დაეკალა ტფილისის სამომხმარებლო კოოპ. მომარაგება ტარით. „**საქხილბოსტანს**“ ქონდა გასული წლის ტარა მარაგი, ოომელიც „**საქხილბოსტანმა**“ გაანაწილა რაიკავშირებს შორის. რაიკავშირებმა ახლა ტარა უნდა გადასცენ ტფილისის სამომხმარებლო კოოპერაციას.

ამ მიზნით „**სახილბოსტან**“-მა მიწერა რაიკავშირებს, რათა გადაეცათ ტფილისის სამომხმარებლო კოოპერაციისათვის ტარა და ამით „**ამოწურა**“ საკითხი. საჭიროა „**საქხილბოსტანმა**“ ნოსხილნოს რაიკავშირებისათვის გადაცემული ტარის ხელახალი შემოწმება და აღრიცხვა და რეალური ზომები მიიღოს ტფილისის კოოპერაციისათვის ტარის გადასაცემად.

ტარა საკმაო რაოდენობით მოიპოვება საქართველოში. იგი საკმარისი იქნება **ყველა ქალაქებისათვის.** (ბათომი, ჭუთაისი, ფოთი და სხვ.). გასულ წლებში დამზადებული ტარა შორმანძილზე გადაზიდვისათვის წელს არ იქნება გამოყენებული. ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის დადგენილებით, **საბჭოთა ტყეშირის ცენტრალურ ქალაქებში** ხილბოსტნეულისთვის გადაზიდული უნდა იქნას ახალი, სტანდარტული ტარით, ამის გამო შარშან დამზადებული ტარა წელს ახლო მანძილზე გადაზიდვისათვის უნდა იქნას გამოყენებული, მაგრამ სამეურნეოდ აგდილებზე ამ ტარას ვერ იყენებენ შესაფერისად. აი მაგალითად:

ხონიდან, კოპიტნარიდან და ვუხტანიდან ტფილისში მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ დამზადებულ ხილს ვერ აგზავნიან ტარას უქონლობის გამო, რომ დამზადებული ბალი და ალუჩა ადგილზე ფუდმდება. ამავე დროს, **საჩხერიდან** (რაიკოოპკავშირის ხაზით) ტარა დიდი რაოდენობითაა დაგროვილი. დიდი ხარჯი და დრო არაა საჭირო იმისათვის, რომ სამტრედიიდან ტარა გადმოზიდულ იქნას კოპიტნარში და მუხაიანში. ტფილისის სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენელი **ბარამიძე** დეპეშას დეპეშაზე აგზავნის ტფილისში:

— ჩქარა, ტარა მომაწოდეთო და ტარას ტფილისიდან მოელის მაშინ, როდესაც ტარა მახლობლად, სამტრედიაშია დაგროვილი.

ტფილისის სამომხ. კოოპერაციამ „**საქხილბოსტანთან**“ ერთად დაუყოვნებლივ უნდა მოაგვაროს ტარის საკითხი და უზრუნველჰყოს ტფილისის მშრომელები იაფი ხილბოსტნეულით.

დ. ლ.

საადრიო ხილ-ბოსტნეულის გადმოზიდვის გეგმები არ აქვთ

საადრიო ხილ-ბოსტნეულის გადმოზიდვის გეგმები „**საქხილბოსტან**“-ში შედგენილი უნდა ყოფილიყო პირველ აგვისისათვის, რადგან ამ რიცხვიდან დაიწყო ხილბოსტნეულის გადაზიდვა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში და საბრეწველო რაიონებში, გადმოზიდვის გეგმების საფუძველზე უნდა წარმოებდეს ტარით ადგილების მომარაგება.

„**საქხილბოსტანმა**“ წელს უნდა დაამზადოს ხილბოსტნეული მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის და სხ. სამრეწველო ქალაქებისათვის. მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოების კავშირს „**საქხილბოსტანმა**“ უნდა ჩააბაროს 795 ტონა კურკოვანი ხილი. (ბალი, ალუბალი და სხვ.). აქედან, ოზურგეთის რაიონში უნდა დამზადდეს 195 ტონა, ცაგერის რაიონში—20 ტონა, სტალინისში—200, ტოლოშში—150, ლანჩხუთში—50 და აჭარისტანში—180 ტონა ხილბოსტნეული.

ლენინგრადის სამომხმარებლო საზოგ. კავშირისათვის ხილის დასამზადებლად „**საქხილბოსტანმა**“ უკვე დაიწყო მუშაობა ოზურგეთის, ცაგერის, სტალინისის, ტოლოშის, ონჯხოთის, ხონის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ახაშის, ვანის და სამტრედიის რაიონებში და აჭარისტანში. დანარჩენ სამრეწველო რაიონებში გადასაგზავნად „**საქხილბოსტანმა**“ უნდა დაამზადოს და „**ცენტრალროდოვოშს**“ მიაწოდოს 7.165 ათასი მარეთის ხილბოსტნეული.

დამზადება არ დაუწყიათ

(სტალინისის რაიონი)

სტალინისის რაიონი ბოსტნეულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რაიონად ითვლება. სოფ. **ქარელის, რუისის და დირბის** მიდამოები ცნობილია ბოსტნეულის და ხილის მაღალი მოსავლიანობით. აქ ყველა შესაძლებლობა არსებობს ხილბოსტნეულის კონტრაქტაციის და დამზადებათა გეგმების შესრულებისათვის. კონტრაქტაციის დადების ვადა (პირველი ივნისი) უკვე გაეიდა, მაგრამ გეგმა ჯერ კიდევ შესრულებული არ არის.

გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზია რაიონისათვის კონტრაქტაციის გეგმების დაგვიანებით მიცემა და აგრეთვე ამ გეგმების შეუფარდებლობა ნათესების ფაქტიურ რაოდენობასთან. მაგ. გეგმით რაიონში დაკონტრაქტებულ უნდა იქნას 3ამიდორი 650 ტონა, მაშინ როდესაც რაიონში 3ამიდორი მხოლოდ 3ე0 ჰექ. დათესილი, ხოლო თითეულ ჰექტარზე კი, ავიღებთ 10 ტონა პამიდორს. (სულ 500 ტონა). მთლიანად რაიონში უნდა დაკონტრაქტებულ იქნას: ხილი—1000 ტონა, კომბოსტო—650 ტონა, ჭარხალი—100 ტონა, პამიდორი—650 ტონა, კარტოფილი 200 ტონა და ხახვი—100 ტონა.

10 ივნისისათვის დაკონტრაქტებული იყო: ხილი—(ვაშლი და მსხალი) 100 ტონა, (გეგმის 100,9 პროცენტი) კომბოსტო—501 ტონა, (77 პროც.) პამიდორი 91 ტონა (14 პროც.), კარტოფილი—450 ტონა 225 პროც.) და ხახვი—96 ტონა (96 პროც.).

გეგმა წარმატებით შეასრულეს **ქარელის, ავლევის და ქვენატკაცის** სას. საბჭოებმა; ჩამორჩენ **ქვიშხეთის დირბის, ზემოხვედურეთის და წალვლის** სასოფლო საბჭოები.

გარდა კონტრაქტაციისა, რაიკოოპკავშირს მინდობილი აქვს აგრეთვე ხილბოსტნეულის დამზადება, მაგრამ იგი არ აქვს ამ ამოცანის შესასრულებლად სრულიად მოემზადებელია. სა ადრიო ხილი უკვე გამოვიდა ბაზარზე და იგი ნაწილობრივ სპეკულიანტების ხელში, რაიონის კოოპერაციას კი არც ერთი გრამი ხილი არ დაუმზადებია.

რაიკოოპკავშირმა და სას. საბჭოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომები, კონტრაქტაციის გეგმების უკლებლივ შესრულებისა და ხილბოსტნეულის დამზადების წარმატებით ჩატარებისათვის.

გ—ი

საბჭოთა კავშირი

ბოლშევიკებმა შექმნეს ალუმინის წარმოება

არც ერთი ლითონის მოხმარება უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში არ იზრდებოდა ისე სწრაფად და გიგანტურად, როგორც ალუმინის. საკმაოა რამდენიმე ციფრი ამის ნათელსაყოფად. თუ 1900 წელს მოვიღეთ 100-ათ, მაშინ 1928 წელს ტყვიის წარმოება უდრიდა 186-ს თუთიასი — 296, სპილენძის — 341, ალუმინის — 3237. და ეს გარემოება არც არის გასაკვირვი. არ არის ლითონი, რომელსაც გარნი იმდენი უალრესად დადებითი თვისებები! როგორც ალუმინს: მცირე ხვედრითი წონა, მაღალ მექანიკურ გამძლეობა, ჩამოსხმის და გატკეცის სია დვილე, მაღალ ელგამტარობა, სითბოს გამტარობა და წინაღობა გარეშემოს დამყანგველ გავლენის მიმართ. გარდა ამისა ალუმინი იძლევა უამრავ შენადნობებს, რა ფართობითობაც არ გინდათ, რკინასთან, სპილენძთან, ნიკელთან, თუთიასთან, მაგნიუმთან, კობალტთან, ოქროსთან, პლატინასთან, ვერცხლთან. შეიძლება შეიცვალოს ალუმინის ფარდობა რომელიმე ლითონთან შედნობის დროს, და ჩვენ ვღებულობთ მთელ რიგ ახალ ნადნობებს სრულიად სხვადასხვა თვისებებით.

ალუმინმა ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში მიიპყრო რუსეთის ქიმიკოსების ყურადღება. რუსმა ქიმიკოსმა **ჰ. ა. ბაიერმა** 1887 წ. შეიმუშავა ალუმინის მიღების წესი. 1892 წ. ბაიერი ამუშავებს ალუმინის მიღების ახალ წესს. 1895 წ. ალუმინის მიღების ახალ მეთოდს იძლევა რუსი ინჟენერი პენიაკოვი. მაგრამ რუსეთის სამეცნიერო და ტეხნიკურ მუშაკთა ეს მიღწევები გამოყენებული იქნა, არა რუსეთში, არამედ უცხოეთში (საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ამერიკაში, ბელგიაში). მეფის რუსეთში ალუმინი არ ჩასთვლია თავის ეკონომიკურ საჭიროებათა შორის.

შეიძლება ითქვას, რომ ახალი წარმოებათა ორგანიზაციის არც ერთი პროცესი არ შეიჭახებია „თეორიულ“ სამოსელში გახვეულ ისეთ მავნებელურ წინააღმდეგობას, როგორც ალუმინის წარმოებაში. გადავავლეთ თვალი საბჭოთა ალუმინის წარმოების ორგანიზაციის ისტორიას და თქვენ წინ გაიელის მთელი სერია მავნებელების (ივანოვი, პალჩინსკი, შეინი, გინზბურგი და სხვ.), რომლებიც პირადათ და სხვადასხვა „თეორეტიკოსების“ სახით და სხვადასხვა „ავრუმენტებით“ სცემდენ ერთ წერტილში — ლამობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა ალუმინის წარმოების ორგანიზაციის საქმე.

მავნებელებმა მოახერხეს ალუმინის წარმოების ორგანიზაციის შეფერხება, მაგრამ საბჭოთა სამეცნიერო — ტეხნიკური აზრი შეუნებლად მუშაობდა ალუმინის დამუშავების პროცესებზე და საგამოკვლევო მუშაობა ალუმინის დარგში საბჭოთა კავშირში გაიშალა ისე ფართოდ, როგორც არსად კაპიტალისტურ ქვეყნებში.

1930 წ. მაისში დაიწყო მშენებლობა ვოლხოვის ალუმინის კომბინატის, რომელიც საქმისტოლატაციოდ გადაეცა 1932 წლის პირველ ნახევარში. კომბინატის წლიური პროდუქცია თანდათანობით უნდა გაიზარდოს 15.000 ტონამდე, წლიურად.

გავიდა ერთი წელიწადი და საბჭოთა კავშირის მუშები ზეიმობენ ახალ გამარჯვებას ალუმინის წარმოების ფრონტზე: 1933 წ. 10 ივნისს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამრეწველო გიგანტების რიცხვს შეემატა დნეპრის ალუმინის — კომბინატი — გიგანტი, რომელიც



კრემატორსკის მანქანათმშენებლობის ქარხნა ნასთან მთავრდება ფოლადის ჩამომსხმელი საამქროს მშენებლობა, რომელიც მისცემს ახალ ქარხანას საკუთარ სხმულს.

სურათზე: ფოლადის ჩამომსხმელი საამქრ ოც მშენებლობა.

პირველ ხანებში (სანამ ამუშავდება მეორე რიგის კორპუსები) გამოუშვებს 20.000 ტონა მეტალურ ალუმინს, შემდეგ კი წარმოება გაორკეცდება. ევროპაში არ არსებობს ალუმინის ასეთი დიდი ქარხანა. საფრანგეთის უდიდესი ალუმინის ქარხანა (ჟ. სამბარში) წლიურად უშვებს მხოლოდ 7000 ტონა მეტალურ ალუმინს.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ლენინის პარტიის მეთაურობით, წარმატებით ასრულებს XVII პარტკონფერენციის მიერ დასმულ დირექტივას, რომელიც მოითხოვდა ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედის ამაელობაში მიღწეული ყოფილიყო „სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ალუმინის და იშვიათ ელემენტების გამოდობა ქვეყნის მოთხოვნილებათა მთლიანად დაკმაყოფილებისათვის საჭირო რაოდენობით“.

საბჭოთა კავშირი ხდება ლითონის ქვეყნად.

ალუმინი, რომლის წარმოება კაპიტალისტურ ქვეყნებში უმთავრესად იზრდებოდა შეიარაღებაში გამეფებულ შეჯიბრების შედეგად, საბჭოთა კავშირში ხდება სოციალისტური მშენებლობის ლითონად.

მაგრამ დნეპრის ალუმინის კომბინატის ამუშავება არ არის მარტო ფერადი ლითონების წარმოების გამარჯვება. ეს არის გამარჯვება საბჭოთა ელექტროფიკაციის, რადგან მხოლოდ მძლავრი ენერგიულობაზის საფუძველზე შეიქმნა შესაძლებელი ალუმინის ხარობების ორგანიზაცია; ეს არის გამარჯვება საბჭოთა მეცნიერული აზრის და ტეხნიკის, ვინაიდან მხოლოდ საბჭოთა მეცნიერების და ტეხნიკის გიგანტურმა ზრდამ გახადა შესაძლებელი ალუმინის წარმოების რთული და სათუთი პროცესის დაუფლება.

აქ მანდარინას კარგად უვლიან

კვირიკეს საბჭოთა მეურნეობაში მანდარინის სარგებლობს სათანადო ყურადღებით, აქ მანდარინას კარგად უვლიან.

როდესაც ათვალიერებთ პლანტაციებს, რწმუნდებით, რომ ყოველი ნერგი კარგად არის მოვლილი: მიწა ნერგის გარშემო გაფხვიერებულია და გაწმენდილი სარეველა ბალახისაგან, ყოველ ნერგს შედგმული აქეს სარი, რათა იგი არ დაზიანოს ქარმა და მიეცეს შესაძლებლობა სწორად აიყაროს ტანი.

მთელი მეურნეობა დაყოფილია სამ უბნად, ყოველ ცალკე უბანს მიჩენილი ჰყავს უფროსი მებაღე, რომელიც აგებს პასუხს პლანტაციის მდგომარეობისათვის, **აღმოფხვრილია გაუპასუხისმგებლობა.**

მეურნეობის დირექტორი აგრონომი **ალ. ჩიტაიშვილი** ციტრუსოვანი კულტურების საუკეთესო მცოდნეა. მისი განცხადებით. **დასახულია მიზნად ყოველი ცალკე ნერგის ინდივიდუალურად შესწავლა, რაც ხორციელდება საქმით. გასულ წელს შეუძლებელი იყო ასეთი მუშაობის წარმოება, ვინაიდან მეურნეობას არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა:** მანდარინის პლანტაციების გაშენება სწარმოებდა დაკვირითი წესით, საჭირო იყო ბინების და სხვა დანიშნულების ნაგობების აგება, გზების გაყვანა და მრავალი სხვ. დღეს კი საქმეებით შესაძლებელია ნერგების დაწვრილებით შესწავლა და ამის საფუძველზე ყოველი ცალკე ნერგის ინდივიდუალურად მოვლა. რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით? უპირველეს ყოვლისა სწარმოებს ნიადაგის შესწავლა, რათა გამორკვეული იქნეს თუ როგორია ნიადაგი ცალკე უბნებში. ნიადაგის აგებულობის და ხასიათის შესწავლა იძლევა შესაძლებლობას, რათა ცალკე უბანში შეტანილი იქნეს საჭირო რაოდენობით სხვადასხვა სახის სასუქი.

სისტემატიურად სწარმოებს პლანტაციების შემოვლა და ნერგების დათვალიერება. შემოვლის დროს თუ აღმოჩნდა, რომელიმე ნერგი სუსტად იზრდება, ან ზიანდება, სასწრაფოდ ირკვევა ამის მიზეზი, იღებენ საჭირო ზომებს ნერგის სამკურნალოდ, ან მისი შესაცვლელად ჯანსაღი ნერგით.

მანდარინის ახალგაზრდა ნერგები საუკეთესოდ გამოიყურებიან: ნერგების უმეტესობა ტანაყრილია, და არის სრული იმედი, რომ **ორი-სამი წლის შემდეგ მეურნეობა მოგვცემს პირველ მოსავალს დიდი რაოდენობით.**

მანდარინის პლანტაციების კარგი მდგომარეობა აიხსნება აგრეთვე იმით, რომ დირექცია იღებს ზომებს, რათა **ყოველი მუშა იცნობდეს მანდარინის მოვლის წესებს.** მუშები ეუფლებიან ტეხნიკას. **ჩამოყალიბებულია** წრეები და კურსები, რომელთა საშუალებით მუშები ეცნობიან ნიადაგის აგებულებას, მებაღეობას ციტრუსოვანი კულტურების ბუნებას და მათ მოვლის წესებს.

გაზაფხულის პერიოდი ყველაზე უფრო საშიშია მანდარინისათვის, ვინაიდან ამ დროს მანდარინას უჩნდება მავნებლები, რომლებიც უმოწყალოდ ანადგურებენ ფესვებს და ფოთლებს. ერთ-ერთი ასეთი მავნებელია ე. წ. იაპონური მატლი, რომელიც ძლიერ ეტანება მანდარინის ფესვებს. მეურნეობამ მაისის პირველ რიცხვებში მოიწვია სპეციალისტები მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებიდან, რომლებიც დაწვრილებით გაეცნენ ნიადაგს და ასახლის ზომები მანდარინის მავნებლების გასანადგურებლად.

გაზაფხულზე პლანტაციებში შეტანილი იქნა მინერალური სასუქი საკმაო რაოდენობით, **უკვე დამთავრდა პლანტაციების მეორე განოყიერებაც, რაც დიდად შეუწყობს ხელს ნერგების ზრდას.** მეურნეობამ დროულად მოიმარაგა მინერალური სასუქი (სილვინიტი, გვარჯილა).

როგორია მუშების საყოფაცხოვრებო პირობები? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ **მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი.** გასულ წელს უნდა აგებულიყო მუშებისათვის საერთო საცხოვრებელი ბინა და სასადილო. მშენებლობის წარმოება მინდობილი ჰქონდა „**საქსოფლმშენ**“-ს, რომელმაც მიიღო ფული და დავალება კი არ შეასრულა. „**საქსოფლმშენი**“-ს დაუდევრობით ჩაიშალა მშენებლობის გეგმა.

მდგომარეობა ეწესაც არ არის გამოსწორებული. მშენებლობა მიმდინარეობს დაუშვებელი ნელი ტემპებით. საბინაო მშენებლობისათვის გადადებულია 51.920 მანეთი, აქედან პირველ კვარტალში ათვისებულია მხოლოდ 2.175 მანეთი.

არ არის დაკმაყოფილებული საგზაო მშენებლობის ტემპებიც. გასულ წელს გაიყვანეს გზა 1,5 კილომ., მანძილზე, რაზედაც დაიხარჯა ძლიერ დიდი თანხა—(44.557 მან.). ეს აიხსნება იმით, რომ „**აჭარხგზატრანს**“-მა გზის გაყვანის გეგმები მრავალჯერ შესცვალა, რაც იწვევდა ზედმეტ ხარჯებს. ამჟამად საგზაო მშენებლობაზე, 40 კაცის ნაცვლად, მუშაობს მხოლოდ 9 კაცი. იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა არ იქნა უზრუნველყოფილი მუშა – ხელით, დასახული გეგმეიი ჩაიშლება.

მუშების საერთო საცხოვრებელი ბინები უვარგისია. ბინებში არ არის დაცული სისუფთავე, მუშებს არა აქვთ რიგიანი საწოლი.

მუშათა მომარაგების გაუმჯობესების მიზნით მეურნეობამ წელს გაუშენა ბოსტანი 8 ჰექტარზე, რაც უზრუნველყოფს მეურნეობას ბოსტნ

მეოთხე ბოლშევიკური გაზაფხულის გეგმები კვირიკეს ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა. ჩატარდა მანდარინის პლანტაციების მოვლა 80 ჰექტარზე, დაზიანებულ პლანტაციების აღდგენა — 8 ჰექტარზე, გეგმის ზევით გაშენდა იაპონური ხურ- 2 ჰექტ. მთლიანად შესრულდა ბოსტნის გაშენების და სომინდის თესვის გეგმა, გეგმის ზევით გაშენდა კრიპტომერია (ქარისაგან მცენარე) 1,25 ჰექტ.

მეურნეობას მრავლად ჰყავს დამკვრელი მუშები, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან გეგმებისათვის. აი ისინი: **ივანე გორდუზი, ივანე ხარილი, მიტროფანე ზლობინი, პავლე ლუნიოვი, ავგუსტ ალფინენი,** და სხვ. ეს მუშები მიემაგრენ მეურნეობას მერვე ხუთწლედის დამლეგამდე.

დამკვრელურად მუშაობენ ბრიგადირები **ამბერკი ბურკაძე,** სამხონ **შუბლაძე, ისკენდერ ჭათამაძე, მიხაკო შუბლაძე.**

კვირიკეს საბჭოთა მეურნეობაში მანდარინის პლანტაციები საუკეთესო მდგომარეობაშია. მთა ნატეხას ფერდობებზე მანდარინმა მოსძებნა მსუყე და ნოყიერი ნიადაგი.

არის სრული შესაძლებლობა, რომ კვირიკეს მეურნეობა გადაიქცეს **სამაგალითო ციტრუსოვან მეურნეობათ.** აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი ლიმონ – მანდარინის ტრესტის და მეურნეობის დირექციის ყურადღება.

ე. ხუციშვილი.

მსოფლიო ეკონომიურ კონფერენციაზე

საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს ეკონომიური თავდაუსხმელობის განსორციელებას

ლონდონი, 15 ივნისი. მსოფლიო ეკონომიური კონფერენციის ნაშუადღევის სხდომაზე თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ამ სხდომაზე ოფიციალურად აცნობა დელეგატებს, რომ **საბჭოთა დელეგაციამ შემოიტანა რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლევა დადებულ იქნას შეთანხმება ყველა იმ კანონმდებლობითი და ადმინისტრატიული ზომების გაუქმების შესახებ, რომლებსაც აქვთ ეკონომიური აგრესიის, დისკრიმინაციის ან რომელი ქვეყნის ვაჭრობისადმი ბოიკოტის გატარების ხასიათი.**

მთელ რიგ დელეგაციების გამოსვლის შემდეგ მაკდონალდმა მოუწოდა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა და განაცხადა, რომ ეს ყველაზე უფრო საქმიანი კონფერენცია იმ კონფერენციებს შორის, რომ ლებზედაც იგი ოდესმე ყოფილა თავმჯდომარედ. საფინანსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ, იტალიის ფინანსთა მინისტრის **იუნგის** გარდა, დაინიშნა ავსტრიის ნაციონალური ბანკის თავმჯდომარე **კინბეკი**.. ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნენ გერმანიის და არგენტინის წარმომადგენლები (ადს).

გაკოტრეგულთა ფანტაზიები

ჰუგენბერგის მემორანდუმი კონფერენციას

ლონდონი, 17 ივნისი. გუშინ ჰუგენბერგმა გერმანიის დელეგაციის სახელით მსოფლიო ეკონომიურ კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიაც წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნები:

1. გერმანიას უნდა დაუბრუნდეს მისი კოლონიები აფრიკაში.

2. საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორია უნდა გახდეს ხელშეუხებელ კოლონიზაციისათვის იმ ანგარიშით, რომ ამ ტერიტორიაზე „გერმანიის ენერგიულ რასას" შეეძლოს „უდიდესი სამშვიდობო იდეალების განხორციელება".

მემორანდუმში ნათქვამია, რომ გერმანიამ მას შემდეგ, რაც ხელისუფლების ათამაღეში ჩადგა ჰიტლერი, დაიწყო ბრძოლა დასავლეთის ცივილიზაციის დაცემის წინააღმდეგ. ჩვეულებრივი მტკიცების შემდეგ, რომ გერმანიას მოელის საფრთხე „კატასტროფის დონის დაბლა მდგომ" იმ ტენდენციების მხრივ, რომლებსაც ატარებენ კომუნისტები და ებრაელები, მემორანდუმი აცხადებს, რომ მსოფლიოს ღელვები შეიძლება ფიქრობდა, რომ ეს ნაბიჯი უნდა იქნას გადადგმული იმისათვის, რომ გერმანიას მიეცეს ვალების გადახდის შესაძლებლობა, სახელდობრ:

1. გერმანიას უნდა დაუბრუნდეს მისი კოლონიები აფრიკაში, 2) გერმანიას, რომელიც „მოკლებულია სივრცეს" უნდა მიეცეს ტერიტორია, რომელზედაც ენერგიული რასა შეძლებს ჩაატაროს კოლონიზაცია და შექმნას „მშვიდობიანობის უდიდესი მიღწევები".

ჩვენ გაჭირვებას განვიცდით არა ზედმეტი წარმოებისაგან, არამედ იმისაგან, რომ ძალიან ცოტა ვიყიდით და ვყიდით. ჩვენ ვიცით, რომ ლონდონში შეერთებული შტატების მოვალეთა მთელიანი ფრონტის შექმნა, იგლისის მიერ დაკავებული პოზიციის გამო, განუხორციელებელია, **დალადეს** შედგომი დარჩენა ლონდონში სრულიად ზედმეტი გახდა. გაემგზავნა ავტომეტი დოლფუსი, რომელმაც თან წაიღო სულ 13 მილიონი გირ. სტერლინგის რაოდენობით ავსტრიის გადასარჩენად გერმანიის საფრთხისაგან.

დანარჩენი დელეგატები უმთავრესად ტელეგრამებში და განსაკუთრებით ბუფეტში იხილავენ ყველა უკანასკნელ ცნობებს. იმის შესახებ, რაც ხდება კონფერენციაზე, ვარტე, ინგლის-საფრანგეთ - ამერიკის ბანკირთა სიადუმლო კონტაქის შესახებ, რომელიც ცდილობენ გამონახონ რაიმე სერთო ფორმულა სამხედრო ვალების საკითხის გადასაჭრელად და გირავნობა სტერლინგის და დოლარის, შეფარდების სტაბილიზაციის მისაღწევად. არავინ არ ცდილობს იმის დაფარვას, რომ ნამდვილი საშიშ კითხება იქ, ბანკირების თათბირებზე.

ეკონომიური კომისიის თავმჯდომარეს არჩევას დიდი კამათი არ გამოუწვევია. წამოყენებულ იქნა ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრის—კოლიინის ნეიტრალური კანდიდატურა, რომელიც წინააღმდეგ არავის გაუხდა. სამაგიეროდ დიდ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი საფინანსო კომისიის პრეზიდიუმის არჩევის გარშემო. შეერთებული შტატების დელეგაციამ მოითხოვა, რომ თავმჯდომარის პოსტი დათმოთ მისი წარმომადგენლისათვის. ამავე დროს, ფრანგები და ოქროს სტანდარტის ყველა მომხრენი იმ აზრის იყვნენ, რომ თუ დაკმაყოფილებულ იქნა შეერთებული შტატების დელეგაციის მოთხოვნა, ამით წინდაწინვე გადაწყდება საკითხი ინფლაციონისტების გამარჯვების შესახებ. მიუხედავად ამისა, ივნისის გადასახდელის საკითხის გარშემო კომპრომისზე მიღწევის შემდეგ, ინგლისმა შხარი დაუჭირა ამერიკის კანდიდატურას და მაკდონალდმა, ბოლოს. შესძლო მოეწვია ბიუროს სამჯერ გადადებული სხდომა, რომელმაც დაამტკიცა კ ჯის კანდიდატურა საფინანსო თავმჯდომარის პოსტზე, ხოლო ფრანგი **ბონნე** დანიშნა მოსხსენებლად. დღეს ორივე კომისია შეუდგება მუშაობას.

სამი დღის საერთო დისკუსიამ კომისიებს არ მისცა არავითარი დირექტივა, არავითარი მითითება. როგორც სჩანს, საფინანსო კომისია იძულებული იქნება დაუცადოს იმ მოლაპარაკების შედეგს, რომელიც სწარმოებს საფრანგეთის, ინგლისის და შეერთებული შტატების საემისიო ბანკების 3 დირექტორს შორის ეგრედწოდებული სავალიუტო დროებითი ზავის გარშემო. თავისთავად ცხადია, ეს მოლაპარაკება უაღრესად საიდუმლოდ სწარმოებს (ადს).

სასოფლო საბჭოების და რაიაღმასკომების თავმჯდომარეების თათბირი საკავშირო სახკომსაბჭოსთან

მოსკოვი, 16 ივნისი. მიმდინარე წლის 14—16 ივნისს სსრკ-ის სახკომსაბჭოში შესდგა თათბირი სასოფლო საბჭოების (25 სასოფლო საბჭოდან) და სარაიონო აღმასკომების (16 რაიაღმასკომიდან) თავმჯდომარეების მონაწილეობით. თათბირზე განხილული იქნა საკითხები: 1) სასოფლო საბჭოების აპარატის განმტკიცება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების კანონის ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით და 2) სასოფლო საბჭოების ანგარიშგების შემცირების შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებანი გამოქვეყნებული იქნება (ადს).

ᲕᲤᲘᲠᲘᲡᲘ

კულტურისა და დასვენების ბაღი გავუმეგისათვის

ამ დღეებში გაიხსნება კულტურისა და დასვენების საბაღო ბაღი (ყოფილი „ართი"). ბაღი იმყოფება ტფილისის გაწათლების განყოფილების და საქართველოს ცენტრალური ბიუროს ნორჩ პიონერთა ცენტრალური ბიუროს გამგებლობაში. ბაღის ძირითადი ამოცანაა ბავშვთათვის საზაფხულო დასვენების ორგანიზაცია, ტფილისის სკოლების პიონერთა მასის კულტურული მომსახურეობა.

ბაღში მოეწყობა დრამატიული სამუსიკო, ფიზკულტურის, რადიოს, ფოტოს და სხვა წრეები, იგეგმება საცურავი აუზი ინსტრუქტორისა და ექიმის მუდმივი მოვიგეობით.

ახალგაზრდა მაყურებელის მომსახურება სანახაობებით ქართულ ფილარმონიისა და რადიო-გადამცემის კავშირთან კონტაქტით, ბავშვებთან მუშაობა იწარმოებს პედაგოგების, მუსიკოსი მომუშავეების, პიონერთა რაზმების ხელმძღვანელების და ფიზკულტურელების მიერ.

გეგმის მიხედვით კულტურისა და დასვენების ბაღი ზაფხულის პერიოდში გაიტარებს ტფილისის 8.000 ბავშვს. დღეშდე უკვე განწერილებულია ამორძემენტები 2000 ბავშვზე. ბაღი ღია იქნება ყოველდღე დილის 9 საათიდან 4-მდე და 6-დან საღამოს 8 საათამდე (ადს).

გოგირდის ახალი წყაროს აღმოჩენა

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლა თანხიდან 1933 წლის მშენებლობისათვის გადადებულია 4 მილიონი მანეთი.

კომუნალურ ქუჩა № 45 სახლის მოსაზღვრე მიწის ფართობზე ბურღვის დროს 136 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილი იქნა გოგირდის წყარო, რომელიც დღე-ღამეში 60.000 ვედრო გოგირდის წყალს იძლევა წყლის ტემპერატურა ცელსიით ფრის 38—39 გრადუსს (ადს).

ხელოვნების ქრონიკა

სპმხრეთ-ოსეთისადმი მიძღვნილი საღამო

18 ივნისს სახ. კომსერვატორიის დარბაზში სო. საქ. საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი აწყობს სამხრეთ-ოსეთისადმი მიძღვნილ საღამოს.

— „ი. გრიშაშვილის პოეზია". 18 ივნისს, საღ. 8 საათზე, სომეხ მწერალთა სახლში (ძერჟინსკის ქუჩა, 6), მწერალი **სურენ ავჭიანი** გააკეთებს მოხსენებას „ი. გრიშაშვილი და მისი პოეზია" დეკლამაცია ი. გრიშაშვილის მონა წილეობით. შესვლა თავისუფალია.

— პოეტ ფრ. ნაროუშვილის შემოქმედების საღამო. 19 ივნისს, საღ. 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მარჯანიშვილის ქუჩა, 13) შესდგება ფრ. ნაროუშვილის შემოქმედების საღამო. მოხსენებით ფრ. ნაროუშვილის შემოქმედების შესახებ გამოვა ამხ. გ. ნატროშვილი. კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან მწერლები და კრიტიკოსები. შესვლა თავისუფალია.

— მოსკოვის თეატრის „მიუზიკ-ხოლლის" ბრიგადა. 16 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის თეატრის „მიუზიკ-ხოლლის" ბრიგადა, რომელიც გაუწევს მოსახურებას ბანაკად გასულ წითელი არმიის ნაწილებს. ბანაკად მუშაობის დამთავრების შემდეგ ბრიგადა გამართავს რამოდენიმე საღამოს ტფილისის კლუბებში.

ტფილისში (ლენინის რაიონი) აგებულია ა-კ. საგზაო-საინჟინერო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი, ოთხ სართულიანი სახლი.

გასწორება

ჩვენი გაზეთის № 137—ამხ. ბოჭორიშვილის რეცენზიაში ადორაციის ქრესტომატიის შესახებ პირველი სვეტის მესამე აბზაცში სწერია: „...რომელზედაც საჭირო გახდა გამარჯვება და **პარტიიდან** განდევნა". უნდა იყოს: **„მთავრობიდან** განდევნა".

გალაქტიონ ტაბიძის 25 წ. იუბილე

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დააკმაყოფილა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შუამდგომლობა პოეტ გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მუშაობის 25 წლის იუბილეს ორგანიზაციის შესახებ. იუბილესთან დაკავშირებით განათლების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე იუბილიარისათვის რესპუბლიკის სახალხო პოეტის სახელწოდების მინიჭების შესახებ.

იუბილეს ჩასატარებლად ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. ფილიპე ჯაფარიძის თავმჯდომარეობით კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებათა გეგმას.

19 ივნისს შესდგება კომიტეტის პირველი სხდომა, რომელიც შეიმუშავებს იუბილეს ჩატარების დღეს დაიწესებს.

23 ივნისს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მწერალთა სასახლეში აწყობს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს.

ამიერ-კავკ. სალიანდაგო და წევის დარგების შემოწმების დეკადა

ამიერ-კავკ. რკინის გზის ყველაზე ჩამორჩენილ დარგს დღეს სალიანდაგო დარგი წარმოადგენს. მისი მდგომარეობა განსაკუთრებით გზის აღმოსავლეთ უბანზე და კახეთის 'მხრივ იმდენად არადამაკმაყოფილებელია, რომ ქმნის სამიშროებას მატარებლების ნორმალური მოძრაობისათვის. ეს გარემოება სატრანსპორტო ორგანიზაციების წინაშე აყენებს გადაუდებელ ამოცანას, მოყვანილ იქნას სრულ წესრიგში სალიანდაგო დარგი.

მაგრამ, სალიანდაგო დარგის გარდა მრავალ დეფექტებს აქვს ადგილი წევის დარგშიც. ორთქლმავლების და საკაგონო მეურნეობების არა ზუსტი მუშაობა, ნაცვთით, ნახშირით და მარგანეცით დატვირთულ ვაგონების და ცისტერნების ბრუნვის ხანგრძლივი პროცესი, მათი მოცდენა ნაგთის პროდუქტების ჩასხმისა და მშრალი ტვირთებით დატვირთვის დროს დაწესებულ ნორმაზე ზევით, მოითხოვენ გადამკრელ ზომების მიღებას იმისათვის, რომ სატრანსპორტო მეურნეობის ეს სპასუხისმგებლო დარგის მუშაობაც სასწრაფოდ იქნას მოგვარებული.

ამ მიზნით, ამიერ-კავკ. რკ. გზის სატრანსპორტო პროკურატურა ატარებს ხსენებულ დარგების მუშაობის შემოწმების ათდღიურს, რაც 15 ივნისს დაიწყო და გასტანს 25 ივნისამდე.

შემოწმებაში ჩაბმულია პროკურატურის აქტივი ადგილებზე, სათანადო დარგების სპეციალისტები და გზის სარაიონო პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები.

სალიანდაგო დარგში შემოწმება იწარმოებს დისტანციების მიხედვით, ხოლო წევის დარგში შემოწმების ობიექტებათ აღებულია ძირითადი დეპოები.

შემოწმება არ იქნება წმინდა სარევიზიო ხასიათის, არამედ მისი წარმოების პროცესში, შემმოწმებელი ბრიგადები ადგილობრივ მეიდებენ ზომებს შეიქმნეს დეფექტების აღმოსაფხვრელად და ამით ხასწრაფო და რეალურ დახმარების გაუწიონ გზას.

ამ შემოხვევაში, როდესაც აღმოჩენილი იქნება დაკისრებული საქმისადმი აშკარა დაუდევრობის, ბოროტი განზრახვის, მავნებლობის და კლასიური მტრის გამოაშკარაფების, ასეთ ქმედობათა ძირშივე აღსაკვეთად მიღებული იქნება საჭირო ღონისძიებები სასამართლოს წესით (ბოროტმოქმედების სასწრაფო გამოძიება, დამნაშავის საჯაროდ გასამართლება).

სატრანსპორტო პროკურატურის ეს ღონისძიება უსათუოდ ღირსშესანიშნავია და მას შეუძლია უდიდესი სამსახურის გაწევა სატრანსპორტო მეურნეობის გაჯანსაღების საქმეში.

პრენკურსი „მემმს"-ის საუკეთესო უჯრედზე

1-ლი ივლისიდან იწყება „მემმს"-ის (უწროშელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება) უჯრედების საკავშირო კონკურსი, მომდინარე წლის საწარმოო გეგმების ე დაჭარბებით შესრულების, მშრომელ ებრაელთა კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების და საერთოდ მომდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში უკეთესი მაჩვენებლების მოცემისათვის.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ როგორც „მემმსი"-ს უჯრედები, აგრეთვე პროფესიონალური ორგანიზაციები, რაიონული მრავალტომიანი გაზეთები და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კონკურსში გამარჯვებულთათვის გამოყოფილია პრემიები — ბრონზეული მგზავრობა, დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში გაგზავნა და ფულადი ჯილდოები.

კონკურსის დამთავრების ვადათ დანიშნულია დეკემბერი. იანვარში კონკურსის შედეგების შეჯამებისას გამარჯვებულებს დაურიგდებათ პრემიები.

კარტიუჩი და საბჭოთა კავენდარი

— 19 ივნისს, საღ. 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტ. და პროპ. განყოფილებაში ამხ. ბარამიძესთან შესდგება თათბირი „სოიუზპეჩატ"-ის დაკალიანების შესახებ გაზეთების რედაქციებზე. შემდგი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: მიხ. დიაშვილი („სოიუზპეჩატი"-ს საქ. განყ.); ხარაბაძე (კავშირგაბ. სახ. კომ.); კიკნაძე ბრუგაძე („კომუნისტი"), გრიგოროიანი, წლატკინი („ზარია ვოსტოკა"); სიხარულიძე („მუშა"); რახმანი, ზაიცა („ტიფ. რაბოჩი")' ებრალიძე („კოლექტივიზაცია")' ჩარკვიანი („ახ. კომ."); ტოროტაძე (სახელგამი)' შახოვი („სოიუზპეჩატი"-ს ა.-ჟ. განყოფილება), ხაბაზაშვილი (ფოსტ.-ტელეგ. ნაცვლიშვილი („ტეხნიკა და შრ."), მარკისოვი („სოიუზპეჩატი"-ს კომუნურიდას მდივანი).

— 19 ივნისს, დღის 2 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტ. და პროპ. განყოფილებაში მოწვეულია თათბირი სოფლად კულტ. და აგიტპროპშუშაობის შესახებ, სადაც განხილული იქნება ავარ ბ. ჩხიკვაძის, პროექტი (აგიტ-ატო). შემდეგი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: მეტრეველი (საქ. ოლკკ კულტპრო); მებუსე (საქ. სახკომსაბჭოს გაამგ. კომიტეტი); მგალობლიშვილი (საქ. მიწათ სამხ. მეურნ. მუშ, კავშ.); მარქაროვის (საქ. თავდ.-ავიაქიმი); თუთბერიძე (სახკინმრეწვი), ეული (საგზაო ბიბლიოთეკა), ლორთქიფანიძე („საქ. ჩაი"), ზირაქიშვილი (სამტრესტი), გოგოშვილი, ჩიხაია (მიწსახკომი); გეგეშიანი (რადიო), ხუხუა (ტრაქტორცენტრი); გეგახაია („კომუნისტი"), ებრალიძე („კოლექტივიზაცია").

— საქ. კ. პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის ლენინაკომის კულტ. და პროპ. განყოფილება იწყებს, რომ 19 ივნისს, საღ. 7 ს. რაიაღმასკომის შენობაში შესდგება პროპ. სემინარი. მუშავდება თემა „პარტიის რიგების ზრდა". პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

20 ივნისს, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი, დაკავშირებით ერთიან პარტღესთან, იწვევს

საქარხნო-საფაბრიკო და სატრანსპორტო პარტკომების, კომლექტივების, უჯრედების და საამქრო უჯრედების მდივნების საერთო საქალაქო კონფერენციას.

დღის წესრიგი:

1. საწარმოებში პარტმუშაობის მოკრიბი ამოცანები

2. სექციების მუშაობა

კონფერენცია შესდგება 20 ივნისს, საღ. სრულ 7 საათზე სახკომსაბჭოს (სასასლე) წითელ დარბაზში.

საქ. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტის მდივანი **ᲬᲘᲗᲚᲘᲫᲔ.**

სსრკ სახ. არტისტ ნინო ჩხეიძის ბენეფისი

საბალეტო და დამსახურებულ არტისტთა მიერ 18 ივნისს წარმოდგენილი იქნება გრიბოედოვის ორგანირობა „ᲫᲘᲫᲐ" უ. დადიანის

ტრაგედია 3 მოქმედებათ.

ძიძის როლს შეასრულებს რუსთ. სახ. არტისტი **ნინო ჩხეიძე**

დასაწ. 8 ნახ. ს. ბილ. თეატ. სალაროში 11-2 ს. დ 6-9 ს.

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

დამკვრელი 9, 11.	**მის-მენდ** მე-2 სერია პრ. გარ.—საბჭოთა საქ № 6.
ეთერი 9, 11	სახელვარგ. ფ. **მწვანე შესახვევი** პრ. გარეშე—საბჭ. საქართვ. № 7.
ტემპი სახ. ტ სახამ. ერთდროულათ	სათავგადასავალო ფილმი **11 ეშმაკი**
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30.	ამერიკული კომედია **მფრინავი გედნიერება**
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11.	**მის-მენდ** მე-2 სერია პროგ. გარეშე—საბჭოთა საქ № 6.
რ. ლიუქსემბურგის 7, 9, 11	გახმ. მოლაპ. ფ. **4500 მეტრ. სიმაღლეზე** პრ. გარ —საბჭ. საბჭოთა წელოვნება
სპარტაკი 6-30, 8-30, 10-30	სათავგადასავალო ფილმი **მის-მენდ** 1-ლი სერია
საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშვო ფილმი **ვანკა და შურის მაძიებელი**
მეცნიერება ტ **ტეხნიკა** 8, 9-30	სამეცნიერო ფილმი **საქართველოს კურორტები**

1933 წლის 19 ივნისიდან

რ. ლიუქსემბურგის სახ.

კინო თეატრი ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

ᲡᲐᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲘᲜᲝ

სეანსები: 7, 8-45, 10-30.

სათავგადასავლო ფილმის უზომ ვარიანტი

ᲐᲮᲐᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

რეჟისორი **ნ. ᲔᲙᲐᲘ.**

მთ. როლებში: **ნ. ᲑᲐᲢᲐᲚᲝᲕᲘ,** სახ. არტ. **Ზ. Ი. ᲙᲐᲮᲐᲚᲝᲕᲘ,** **ᲘᲕᲐᲜ ᲙᲘᲠᲚᲐ—ᲛᲣᲨᲢᲐᲤᲐᲡ** როლში.

ერთდაიმავე დროს საბაფშვოსა და ზამთრის შენობაში

ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

ტრიპოლის ტრაღედია

რეჟისორი **ა. ᲘᲜᲣᲨᲕᲘᲚᲘ.** ოპერატორი **ᲕᲘ. ᲚᲔᲛᲙᲔ.**

„ტრიპოლის ტრაღედია" სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გულშემხვრელი და სისხლით დაფერილი ფურცელია. სეანსები—სახ. კინოში 9, 11 ს. ზამთრის—8-45, 10-30.

ნ. 96

19 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ტუზ-ინსტიტუტის შენობაში (მელიქიშვილის ქ. № 15) ჯანმრთელობის განყოფილება ჯანსაქმოსთან და მედსანშრომის კავშირთან ერთად ი წ ვ ე ვ ს

ქალაქის ექიმთა კონფერენციას

შემდეგი დღის წესრიგით:

1. საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის 13 წლისთავი—მომხსენ. განათლების კომისრის მოადგილე ამხ. **ᲕᲐᲨᲐᲫᲔ.**

2. 13 წელი საბჭოთა ჯანმრთელობისა სამხრეთ-ოსეთში—მომხს. სამხრეთ ოსეთის ჯანსახკომი ამხ. **ᲢᲣᲛᲐᲔᲕᲘ.**

3. თანამოხსენება—ამხ. **ᲙᲝᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ქ. ტფილისის ყველა საექიმო პერსონალის დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

447 **ჯანმრთელობის განყოფილება.**

„საქსოფლმომარაგება"

შეუდგა 1934 წლისათვის სას.-სამეურნ. იარაღ-მანქანებსა და წარმოების საშუალებათა მოთხოვნილების შედგენას.

ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციები (საბჭოთა, კოლექტიური, კოოპერატ მეურნეობანი, მუშათა მომარაგების განყოფილებანი, დახურული მუშათა და სამხედრო კოოპერატივები და სხვა, ვინც სოფლის მეურნეობას ეწევა) ვალდებული არიან ხუთი დღის ვადაში წარმოადგინოს „საქსოფლმომარაგებაში" დასაბუთებული მოთხოვნილება სას.-სამ. მანქანა-იარაღებზე და წარმოების საშუალებებზე 1934 წლისათვის ინსტრუქციების და ფორმების მისაღებად, საჭიროა მიმართოს „საქსოფლმომარაგება"-ს (ლუბარჩარის ქ. № 2).

ორგანიზაციები, რომლებიც არ წარმოადგენენ მოთხოვნილებებს ვადაზე, არ იქნებიან შეტანილი 1934 წლის მანქანა-იარაღების მოვარაგების საერთო გეგმაში.

1034 **„საქსოფლმომარაგება".**

საქართველოს სსრ მაღალი ძაბვის ელექტრო-გადამცემი საზეების და ქვესადგურების ქვანძის დირექცია

აცნობებს ზაჰეს-რიონჰესის მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზის ახლო მდებარე რაიონების აღმასკომებს, სოფლის საბჭოებს და ყველა მოქალაქეებს, რომ აღნიშნული ხაზი 18 ივნისიდან ქალაქ ზესტაფონამდე, ხოლო ივნისის ბოლო რიცხვებში რიონჰესამდე **დაყვანილი იქნება 110.000 ვოლტის ძაღალი ძაბვის ქვეშ.**

ყველა ახლო მდებარე რაიონების მცხოვრებლებს ვაფრთხილებთ, რომ მაღალი ძაბვის ხაზთან

მიკარება სასიკვდილოა.

ზემოხსენებულის გამო **სასტიკათ აკრძალულია** ანძებთან მიკარება, იზოლიატორების დამტვრევა, სროლა როგორც გამტარებზე, ისე ანძებზე და იზოლიატორებზე, აგრეთვე მავთულების ან სხვა საგნების ჯადასროლა გამტარებზე. ყოველი ასეთის ქმედობა გამოიწვევს უბედურ შემთხვევებს (სიკვდილსაც).

ზაჰეს-რიონჰესის ხაზის ყველა ანძებზე ზესტაფონამდე მიკრულია დაფები გაფრთხილებით „სასიკვდილოა".

დამრღვევნი ზემოხსენებულ წესებისა **პასუხისგებაში** სისხლის სამართლის წესით თავისუფლების აღკვეთით 8 წლამდე.

1036 2—1 **დირექცია.**

საქ. პროფსაბჭოს და სახ. დაწ. ც/გამგეობის ტფილისის საფუძლო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის

პირველ მოსამზადებელი კურსები

10 ივნისიდან გაისნა და გრძელდება მიღება მოსამზადებელ საზაფხულო კურსებზე

საკონკურსო გამოცდებისთვის

1. უნივერსიტეტში, 2. ინსტიტუტებში, 3. ტეხნიკუმებში და 4. მუშფაკებში.

იმავე კურსებთან იხსნება დამატებითი ჯგუფები ტეხნიკუმების, მუშფაკების და ათწლედების (მე 5, 6, 7, 8 და 9 ჯგუფ.) ჩამორჩენილ და სუსტ მოსწავლეთა **მოსამზადებლად ყველა საგნებში,**

მეცადინეობა დილა-საღამოს მთელი ზაფხულის განმავლობაში 80—120 მან.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დილის 10—12 საათ., საღ. 5—9 საათამდე — აკად აკოფთანის და ბრძანების ქ. № 2, მე 21-ე შრომის სკოლა.

3—3 904 **კურსების დირექცია.**

დამწუხრებული ძიძა ვალიკო წერეთელი და ანეტა შვილებით აუწყებენ ნათესავ-ძმეგობრებს დაუვიწყარი ცოლის დის

ᲛᲐᲨᲘᲙᲝ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲙᲐᲜᲐᲤᲘᲢᲠᲐᲫᲔᲡ

გარდაცვალებას. გამოსვენება 19 ივნისს 5 საათზე, ყაზბეგის ქ. № 10

სამუდამოდ გულმოკლული დედა ხადია ციცაგი, ბიძა კოლია პერედერა მეუღლე ლეონათი, იუწყებიან, რომ 18 ივნის 6 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ პატარა

ᲕᲐᲜᲘᲙᲝ ᲮᲐᲓᲐᲠᲘᲐᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲪᲘᲪᲐᲒᲘᲡ

სამოქ. პანაშვიდი. 35

უსაზღვრო ძეგობრები ძაროო კობიაშვილი, თამარა მამაცაშვილი, ლიზა ყანჩაველი, ილო მათიაშვილი, ჭუმუ დამბაშიძე, ხუნუ ნათიშვილი, ლენა ლუკიანოვა ვგლოვობთ ძვირფას მეგობრის ელიკოს დედას

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲥᲐᲕᲗᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲘᲡ

უდროოდ გარდაცვალებას. 38

ელეონორა და ხესტორ ჯაველიძეები მწუხარებით აუწყებენ სახოგადოებას, რომ 18 ივნისს, საღამოს 6 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ და საამაყო

ნონა (ცოტრო) მალნარაძის

სამოქ. პანაშვიდი. 21

ღრმად დამწუხრებული მშობლები ბათუ, ლაზარე, რძალი ვარა, ძმა ალექსანდრე, ძმისწულები ალოლონი და ტატი ჯაველიანები ვაუწყებთ ნათესავთ უძვირფასესი

ბუცა ჯაველიანი-ცაციშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 21 ივნისს ქ. ბუგდიდში. 37

ღრმად დამწუხრებული მამა ბოშინია, დედა ქეთო, ძმები ისიდორე, ერმილე, ლადი, აკაკი, ილია ერქვანიები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი, კომკავშირელი

შალვა ერქვანია

დაკრძალვა 17 ივნისს, დიდგმყონში. 32

ღრმად დამწუხრებული ევგენი გლაბუას-ძე უთმელიძე შვილებით ბენედიქტეთი და გაბულათი, სიძე სიკო კობერიძე, და ლიზა ჩუტიშვილ იუწყებიან ფსაყვარელს

ლიზა ჭრიაშვილ-უთმელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 16 ივნისს ს ქვემო ჯოხში. 32

დამწუხრებული დედა როზა, ძმები ფელიქსი და არტემი ცოლშვილით ნინა ჭენია და პატარა ოთარით იუწყებიან

ალიოზა გეთანიშვილის

უეცრივ გარდაცვალებას. გამოსვენება 18 ივნისს ბიდისთვის ქ. № 8 (ავლაბარი) 5 ს. ავლაბრის სასაფლაოზე. 28

თინა ჯაყელი, ქეთო მაყაშვილი, თინა ჭყონიშვილი მარიკა მარკოვიჩი ქმრებით. იუწყებიან ფენია ზუბიაშვილის ძმის

გიორგი ზუბიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 18 ივნისს 5 საათზე ბინიდან კომინტერნის ქ. 6, კუკიის სასაფლაოზე. 31